პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ხუთშაბათი 17 ოქტომბერი 1940 წ. № 242 (5943) ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სოფლის ექიმი

სამუდამოდ გაქრა ის შავბნელი დრო, როცა მშრომელი ხალხი მოკლებული იყო ადამიანური ცხოვრების პირობებს. ხალხს სულს უხუთავდა სიღატაკე და უვიცობა, ხალხის სასიცოცხლო ძალებს თვითმპყრობელობის სატრაპები გასაქანს არ აძლევდნენ, ფართოდ გავრცელებული სნეულებანი და ეპიდემიები მუსრს ავლებდნენ მშრომელებს.

ოქტომბრის რევოლუციამ სამუდამოდ დაასამარა ძველი დამყაყებული ცხოვრება და სრულიად ახალ საფუძველზე შექმნა სამური და ბედნიერი ცხოვრება, გაფურჩქნა და ააყვავა ჩვენი ქვეყანა.

ორდენოსანი საქართველოს საბჭოთა სოფელში ახლა არსებობს 145 სამკურნალო სტაციონარი, 700-ზე მეტი საექიმო უბანი, 600-ზე მეტი საბებიო და საფერშლო პუნქტი, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას 5 ათასამდე ექიმი ემსახურება.

თუ წინათ ყოველ 64 ათას მცხოვრებზე ერთი კერძო ექიმი მოდიოდა, ახლა ერთი ექიმი 2.500 მშრომელს ემსახურება.

პარტია და მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი სიყვარულითა და მზრუნველობით ეკიდება საბჭოთა ექიმს. ეს სიყვარული და მუდმივი მზრუნველობა განსაკუთრებით ძლიერია საბჭოთა სოფლის ექიმისადმი.

განუწყვეტლივ უმჯობესდება სასოფლო უბნის ექიმის მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობები. უბნის ექიმი უზრუნველყოფილია ბინით, გათბობა - განათებით, ტრანსპორტით, მას მთავრობა აძლევს ფულად სახსრებს თავისი საკარმიდამო მეურნეობის სანიმუშოდ მოსაწყობად.

ჩვენთვის უცხოა და მიუღებელი ისეთი ექიმი, რომელიც ყველაფერს თავის პირად კეთილდღეობას უქვემდებარებს, გატაცებულია ე. წ. „კერძო პრაქტიკით", გაურბის საზოგადოებრივ მუშაობას, თბილი ადგილის ძებნაში თავს არიდებს იმ უბანში მუშაობას, სადაც ის ყველაზე მეტად არის საჭირო.

ასეთი ექიმები, მართალია იშვიათად, მაგრამ ჯერჯერობით მაინც გვხვდებიან. ზოგ ექიმს უსაფუძვლოდ ჰგონია, თითქოს სოფლად მუშაობა ნიშნავდეს სამედიცინო მეცნიერებისა და კულტურული ცხოვრებისაგან მოწყვეტას. სამწუხაროდ, ასე ფიქრობს ზოგიერთი ახალგაზრდა ექიმი და გაურბის სოფლად წასვლას. ამ გარემოებით უნდა აიხსნას ექიმ მარია სიტინას საქციელი, რომელმაც სამი წლის წინათ დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი, ორი წელიწადი ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტში იმუშავა სტაჟიორად და ახლა სოფლად მუშაობაზე უარს აცხადებს იმ მოტივით, თითქოს მას დიდი მისწრაფება ჰქონდეს „მეცნიერებისა და მუშაობისაკენ" და ეს სოფლად შეუძლებელი იყოს. ასევე მოიქცნენ ექიმები ს. შალამოვა და პ. ბერძენიშვილი, რომლებიც აგრეთვე უარს აცხადებენ სოფლის საექიმო უბანში მუშაობაზე.

ამ ამხანაგებს რატომღაც ავიწყდებათ, რომ საბჭოთა სოფელში ისევე შეიძლება იმუშაო ნაყოფიერად, გააღრმავო შენი ცოდნა და გამოცდილება, როგორც ქალაქად, რომ ჩვენს სოფელში ისევე კარგი პირობებია, როგორც ქალაქში, რომ სოფლის საექიმო უბანი უმნიშვნელოვანესი რგოლია სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მთელი სისტემისა.

ეს რომ ასეა, ამის დამტკიცება უამრავი მაგალითებით შეიძლება. ავიღოთ მაგალითად, ონის რაიონის სოფელ სორის საექიმო უბნის გამგე ექიმი ამბროსი მინდელი, რომელმაც სანიმუშოდ მოაწყო თავისი უბანი, მისი ინიციატივით გაიხსნა ათსაწოლიანი სტაციონარი. იგი კოლმეურნეებთან სისტემატურად ატარებს სანიტარულ-პროფილაქტიკურ საუბრებს, ეპიდემიების საწინააღმდეგო ღონისძიებებს.

საუკეთესოდ მოაწყო ზემოალვანის (თელავის რაიონი) საექიმო უბანი ექიმმა ნ. ქადაგიძემ. იგი 12 წელიწადია, ამ სოფელში მუშაობს და მოსახლეობაში ავტორიტეტი დაიმსახურა. იგი ყოველთვის მზად არის დახმარება აღმოუჩინოს ავადმყოფს. სოფ. მათხოჯის (წულუკიძის რაიონი) საექიმო უბნის გამგე, „ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებულის" ნიშნით დაჯილდოებული ექ. ქ. მელაძე, სოფ. ვარდისუბნის (ლაგოდეხის რაიონი) საექიმო უბნის გამგე ექ. მარიამ ვაშაკიძე, სოფ. დიდ-ჯიხაიშში — ექიმი ბ. კობრეიძე, სოფ. მლეთში (დუშეთის რაიონი) — ექიმი ზ. რიჟინაშვილი, ცხაკაიას რაიონის ქირურგი, რაისაბჭოს დეპუტატი ამხ. ს. ბრეგვაძე და სხვ. საუკეთესოდ ათავსებენ საზოგადოებრივ მუშაობასა და მუდმივ ზრუნვას მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის, საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ისინი თავიანთ უბნებში მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ნამდვილი ორგანიზატორები არიან, კარგად იცნობენ თავიანთ უბნებს, თვითეული სახლის თვითეულ მცხოვრებს.

ამ მოწინავე ექიმებს ახასიათებთ მგრძნობიარე, გულთბილი დამოკიდებულება ავადმყოფისადმი, მათ არასოდეს არ ავიწყდებათ, რომ პარტიამ, მთავრობამ ისინი აღზარდა ხალხისათვის. ისინი არასოდეს არ კმაყოფილდებიან ავადმყოფებისათვის მხოლოდ წამლების გამოწერით, არამედ გულისხმიერ რჩევა-დარიგებას აძლევენ მათ.

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები, პირველ რიგში საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი, ვალდებული არიან ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ უბნის ექიმს, ხელი შეუწყონ მისი კვალიფიკაციის ამაღლებას. მაგრამ ამ მიმართულებით ბევრი რამ ჯერ კიდევ არ კეთდება.

რაიონის საავადმყოფოს, სადაც შედარებით კვალიფიციური ექიმები მუშაობენ, და უბნის ექიმს შორის ჯერ კიდევ არ არის დამყარებული მჭიდრო საქმიანი კავშირი. იშვიათად იწვევენ ექიმთა თათბირებს, რომლებზეც განიხილება სამკურნალო პრაქტიკასთან დაკავშირებული საკითხები, იშვიათ შემთხვევათა დიაგნოზები, საბჭოთა და უცხოეთის მედიცინის მიღწევები, მოწინავე სპეციალისტთა ლექციები, თეორიული და პრაქტიკული მედიცინის საკითხები. ამ მხრივ საქართველოს ექიმთა სამეცნიერო საზოგადოებაც ძალიან ცოტას აკეთებს.

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ სოფლის ექიმებს. ამიტომ სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მოვალეობაა ყოველმხრივ დაეხმარონ სოფლის ექიმს, შეუქმნან მას საუკეთესო პირობები.

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატში

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატმა შეამოწმა მუშაობის ორგანიზაცია ზოგიერთ სასამართლოში. აღმოჩენილია სერიოზული ნაკლოვანებანი. გასარჩევად დანიშნულ საქმეებს წინასწარ არ ამზადებენ, ერთდაიმავე საათისთვის იწვევენ მხარეებსა და მოწმეებს სხვადასხვა საქმეზე, სასამართლოს სხდომები თავის დროზე არ იწყება და სხვ.

ქ. სამარყანდის პირველი უბნის სახალხო მოსამართლემ სანახაოვამ 19 აგვისტოს სხვადასხვა საქმეზე მოწმეებად გამოიწვია 20-ზე მეტი კაცი, საქმის გარჩევის დაწყებისას კი თვითონ არ გამოცხადდა და საქმეების გარჩევა გადადო მდივნის მოუსვლელობის გამო.

სამარყანდის მე-2 უბნის სახალხო მოსამართლემ ზაბაროვამ ყველა საქმეზე მხარეები და მოწმენი გამოიწვია დილის 8 საათისათვის, თუმცა საქმეების გარჩევას უფრო გვიან იწყებდა.

ასეთივე მდგომარეობა იყო მოსკოვის ოლქის მიტიშჩის 1-ლი უბანს, ქ. მოსკოვის სოკოლნიკის რაიონის მე-2 უბნის, დაღისტნის ასსრ ქ. მაჰაჩ-ყალის მე-2 უბნისა და სხვ. სახალხო სასამართლოებში.

სახალხო მოსამართლენი სანახაოვი, ზაბაროვა და ევტიუხოვი (მიტიშჩის რაიონი) გაწვეული არიან სამუშაოდან. სასამართლოს და იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორგანოების ყველა თანამშრომელს გაფრთხილება მიეცა, რომ გამოწვეულ პირთა სამუშაო დროის გაცდენისათვის დამნაშავენი სასტიკ პასუხისგებაში მიეცემიან. (საკდესი).

მანქანები საქართველოსთვის

ვოროშილოვგრადი, 14 ოქტომბერი (საკდესი). ემზადებიან რა ოქტომბრის XXIII წლისთავის შესახვედრად, ვოროშილოვგრადისა და მისი ოლქის მუშები ცდილობენ მოწინავე ადგილი დაიკავონ ორი მოძმე რესპუბლიკის — უკრაინისა და საქართველოს მშრომელთა შეჯიბრებაში. ისინი ყოველდღიურად უწევენ დახმარებას საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობას.

პარხომენკოს სახელობის ქარხნის მანქანათმშენებელნი განსაკუთრებული მზრუნველობით ასრულებენ გამაუხვებელი მოწყობილობის დაკვეთას ტყიბულის შახტებისათვის. ლითონკონსტრუქციების საამქროს ამწყობმა ზინკელმა უკვე დაამზადეს მექანიზებული დამყირავებელი და მისაბმელი მასაზრდოებელი. ამ დღეებში ქარხანა ჰგზავნის რეზინის ტრანსპორტერს.

კოლექტივში ფართოვდება შეჯიბრება საქართველოს ქვანახშირის მრეწველობისათვის სხვა მანქანების ვადამდე გამოსაშვებად. ამხ. ერმაკოვისა და პროზოროვის ბრიგადები სისტემატურად 2-3 ნორმას იძლევიან. ბაძავს რა მათს მაგალითს, ლითონკონსტრუქციების საამქროს ყველა ბრიგადა დავალებას წარმატებით ასრულებს.

ლუტუგინსკის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა წელს დაამზადა და საქართველოს საწისქვილე მრეწველობისათვის გაგზავნა 13 დიდი საზმური.

დისერტაციების დაცვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ინსტიტუტებში

უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მთელ რიგ ინსტიტუტებს ნება დართო მიიღონ მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დასაცავი დისერტაციები.

მათემატიკურ ინსტიტუტს ნება დაერთო მიიღოს ფიზიკურ-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დასაცავი დისერტაციები შემდეგ სპეციალობათა მიხედვით: მათემატიკური ანალიზი, ფუნქციათა თეორია, თეორიული მექანიკა, რიცხვების თეორია, გეომეტრია, ალგებრა. ნ. ი. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი მიიღებს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დასაცავ დისერტაციებს. ამავე ინსტიტუტს ნება დაერთო მიიღოს ფილოლოგიურ მეცნიერებათა (ქართველურ ენათმცოდნეობა, კავკასიურ ენათმცოდნეობა, ქართული ფილოლოგია, ირანისტიკა) დოქტორისა და კანდიდატის სამეცნიერო ხარისხისა და ხელოვნებათმცოდნეობის (ქართული ხელოვნების ისტორია) დოქტორისა და კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დასაცავი დისერტაციები.

ქიმიური ინსტიტუტი მიიღებს ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დასაცავ დისერტაციებს ბოტანიკური ინსტიტუტი — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დასაცავ დისერტაციებს.

საქართველოს მაღაროელთა საპასუხო წერილი უკრაინის მაღაროელებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

მძლავრი საბჭოთა კავშირის ხალხები უდიდესი საწარმოო აღმავლობით ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIII წლისთავისათვის. ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა დედა - სამშობლოსათვის სადღესასწაულო სტახანოვური საჩუქრების მომზადების შესანიშნავი ტრადიცია. ფართოდ გაიშალა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ამრავლებს ჩვენი დიადი ქვეყნის სიმდიდრეს და შემოქმედებითს ძალებს. დიად დღესასწაულს ჩვენთან ერთად პირველად იზეიმებენ ახალი საბჭოთა რესპუბლიკების — კარელია-ფინეთის, მოლდავეთის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სს რესპუბლიკების ხალხები. ყოველი საბჭოთა პატრიოტის გულს სიამაყის გრძნობით ავსებს სოციალისტური სამშობლო, **ლენინ-სტალინის** დიადი პარტია.

ხალხთა დიდი ბელადის, ჩვენი მშობლიური და საყვარელი მასწავლებლის ამხანაგ **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობით ბედნიერი საბჭოთა ხალხები გიგანტური ნაბიჯით მიდიან წინ, კომუნიზმის ახალი გამარჯვებისაკენ.

ლენინ-სტალინის პარტიისადმი, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი** სსრ კავშირის ხალხთა ეს მგზნებარე სიყვარული და უსაზღვრო ერთგულება გამოხატულებას პოულობს სტახანოველთა და დამკვრელთა შემოქმედებაში, მათ შრომით გმირობაში და კეთილშობილ პატრიოტულ მისწრაფებაში — საგმირო საქმეებით ახალ-ახალი გამარჯვება მოუპოვონ მძლავრ საბჭოთა ქვეყანას, ისინი გამოხატულებას პოულობენ ორი მოძმე რესპუბლიკის — უკრაინისა და საქართველოს მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც გაიშალა ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშის ქვეშ.

მესამე წელია წარმატებით ეჯიბრებიან ერთმანეთს საქართველოსა და უკრაინის მაღაროელები, იბრძვიან იმისათვის, რომ მეტი და უკეთესი ხარისხის ქვანახშირი მისცენ ჩვენს ქვეყანას. ეს შესანიშნავი შეჯიბრება დიდ პრაქტიკულ შედეგებს იძლევა. 1938 წლიდან მოკიდებული, ტყიბულის მაღაროელები ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებენ ქვანახშირის ამოღების გეგმებს. ეს სახელოვანი ტრადიცია მტკიცედ დამკვიდრდა საქართველოს მაღაროელთა მუშაობაში, რომლებიც თავდადებით იბრძვიან, რათა ღირსეულად განახორციელონ დიდი **სტალინის** დავალება—ადგილობრივი ქვანახშირით დააკმაყოფილონ საქართველოსა და ამიერკავკასიის მოთხოვნილება ქვანახშირზე.

მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში მნიშვნელოვნად დაწინაურდა ტყიბულქვანახშირის ტრესტი, რომელიც მესამე წელია ეჯიბრება დონბასის ტრესტ „ორჯონიკიძეუგოლს".

ჩვენი ტრესტი ოქტომბერში, წარსულ თვეებთან შედარებით, ყოველდღიურად 200—300 ტონით მეტ ქვანახშირს იძლევა; 1940 წლის 9½ თვის განმავლობაში, გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, ამოღებულია 48.000 ტონა ქვანახშირით მეტი.

ჩვენი მაღარო, რომელიც დიდი **ლენინის** სახელს ატარებს, წარმატებით ეჯიბრება დონბასის № 4 მაღარო „კრასნი ოქტიაბრის" მაღაროელებს. 1940 წლის პირველ ნახევარში ქვანახშირის ამოღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ჩვენმა მაღარომ საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა. ქვანახშირის ამოღების 9½ თვის გეგმა ჩვენ 100 პროცენტით შევასრულეთ. ოქტომბრის პირველი დღეებიდანვე დიდად გაძლიერდა ქვანახშირის ამოღების ტემპები. სექტემბერთან შედარებით ახლა ყოველდღიურად 100 ტონა ქვანახშირით მეტს ვიღებთ, 15 ოქტომბრიდან კი 200 ტონა ქვანახშირით მეტს ამოვიღებთ.

ეს წარმატებანი მიღწეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა შესრულების საფუძველზე. შესამჩნევად გაუმჯობესდა ქვანახშირის ხარისხი. ქვანახშირის ნაცრიანობა სტანდარტთან შედარებით შემცირებულია 2 პროცენტით, ხოლო ოქტომბრის პირველ ნახევარში— 3 პროცენტით.

ტყიბულის მაღაროელებში ფართოდ გაიშალა წინასაოქტომბრო შეჯიბრება. ამ შეჯიბრებაში დაწინაურდა არა მარტო ჩვენი მაღარო, არამედ სტალინის სახელობისა და გელათის მაღაროებიც, რომლებიც ახლა მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ ქვანახშირის ამოღების გეგმებს.

სოციალისტური ტყიბულის მოწინავე ადამიანები — სტახანოველები და დამკვრელები: ვ. ცირეკიძე, კ. ბეშკენაძე, შ. ფურცხვანიძე, ალ. კასრაძე, დ. ფერაძე, თ. გვენეტაძე, და მრავალი სხვანი წარმატებით ასრულებენ დონბასელ ძმებთან შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებებს. წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა უბანი, რომელსაც სამთო ტექნიკოსი, პ. ნანიკაშვილი ხელმძღვანელობს. ამ უბანმა, რომელიც მოწინავეთა რიგებში დგას, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა სექტემბრის საწარმოო დავალება.

ამ მოწინავე უბნის მაგალითით მაღაროელები სწავლობენ ქვანახშირის ამოღების ზრდისათვის ბრძოლას.

ჩვენ დიდი სიხარულით წავიკითხეთ ცნობა იმის შესახებ, რომ სოციალისტური დონბასი, რომელიც წინათ გეგმის შესრულებაში ჩამორჩებოდა, აღმავლობის გზას დაადგა, რომ ორჯონიკიძის სახელობის ტრესტი და მაღარო № 4 „კრასნი ოქტიაბრი", რომლებიც ჩვენ გვეჯიბრებიან, მოწინავეთა რიგებში გამოვიდნენ.

ამაში მცირე როლი კი არ შეასრულა ორი მოძმე რესპუბლიკის მაღაროელთა შეჯიბრებამ.

გავეცანით რა თქვენს წერილს და გავითვალისწინეთ რა ჩვენი შესაძლებლობანი, იმ დასკვნამდე მივედით, **რომ შევძლებთ შევასრულოთ წლიური გეგმა 12 დეკემბრისათვის.**

ამასთან ჩვენ შევძლია თვითეული მაღაროელის შრომის ნაყოფიერება 15 პროცენტით გავზარდოთ, 2 პროცენტით შევამციროთ თვითღირებულება და უფრო გავაუმჯობესოთ ქვანახშირის ხარისხი.

დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ჩვენში თქვენმა მეგობრულმა, ძმურმა და გულითადმა თხოვნამ— გეწვიოთ ოქტომბრის დღესასწაულზე.

საქართველოს მაღაროელები მხურვალი მადლობის გრძნობით იღებენ ამ მოწვევას.

ჩვენ გავაჩაღებთ შეჯიბრებას იმისათვის, რომ წილად გვხვდეს დიდი პატივი — ოქტომბრის დღესასწაულზე ვესტუმროთ უკრაინელ ძმებს და გადავცეთ მათ საბჭოთა საქართველოს — დიდი **სტალინის** სამშობლოს მაღაროელთა მხურვალე სალამი და საუკეთესო სურვილები. მოხარული ვიქნებით, თუ ორჯონიკიძის სახელობის ქვანახშირის ტრესტის და № 4 მაღარო „კრასნი ოქტიაბრის" მაღაროელთა წარმომადგენლებიც ჩვენთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას ოქტომბრის ზეიმში ჩვენს მაღაროში.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები სიხარულით გააცნობენ ძვირფას სტუმრებს თავიანთ მიღწევებს და გაიზიარებენ მუშაობის თქვენს გამოცდილებას.

თქვენ გაიცნობთ ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანებს, რომლებიც პარტიისადმი, დიდი **სტალინისადმი** ერთგულებისა და სიყვარულის სულისკვეთებით აღზრდილი არიან ქართველი ხალხის ერთგული შვილის, საბჭოთა დაზვერვის სტალინური ხელმძღვანელის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** მიერ.

ჩვენ მივმართავთ საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელს, მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას მოწოდებით — უფრო ფართოდ გავშალოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIII წლისთავის წინასაოქტომბრო შეჯიბრება, ამ დღესასწაულს შევხვდეთ დედასამშობლოსადმი მიძღვნილი საჩუქრებით, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ საწარმოო დავალებანი, ახალ-ახალი წარმატებით შევხვდეთ ძვირფას სტუმრებს—უკრაინელ ძმებს.

სულით და გულით გისურვებთ ახალ-ახალ წარმატებას თქვენს მუშაობაში, ძვირფასო უკრაინელო ძმებო, დონბასის — სტახანოვური მოძრაობის სამშობლოს — მაღაროელნო!

გაუმარჯოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას—სოციალიზმის ერთერთ უდიადეს მონაპოვარს!

გაუმარჯოს ბოლშევიკთა გმირულ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა დაზვერვის სტალინურ ხელმძღვანელს, ამხანაგ ლავრენტი **ბერიას!**

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს, ჩვენს მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ **სტალინს!**

ტყიბულქვანახშირის ტრესტის **ლენინის** სახელობის მაღაროს მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების დავალებით წერილს ხელს აწერენ: მაღაროს გამგე — **გრ. გორგიძე**, პარტბიუროს მდივანი **ირ. გორგიძე**, მაღაროს მთავარი ინჟინერი — **ფ. ნაჭყებია**, მაღაროს პროფესიული კომიტეტის თავმჯდომარე — **კ. სახელაშვილი**, მაღაროს კომკავშირული კომიტეტის მდივანი — **ი. დადუნაშვილი**, შახტის სტახანოველები და მეთაურები: **ვ. ცირეკიძე, დ. ფერაძე, შ. გაბადაძე, ალ. კასრაძე, ბ. კვაჭაძე, ლ. ცქიფურიშვილი, ალ. გიორგაძე, გ. როინიშვილი, მ. ბორცოვი, ს. სიჩოვი, გ. ჩეკანოვი, არ. გოგელაშვილი, ქ. შალიბაშვილი, პ. ჩიხლაძე, ა. ბასილაძე, ბ. თოდიძე, ხ. ოლჩევი, ი. გვენეტაძე, ნ. ცერცვაძე, გ. გიორგაძე.**

სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დახურვა

მოსკოვი, (ჩვენი საკ. კორ.). 15 ოქტომბერს ნაშუადღევის 2 საათსა და 25 წუთზე ამხ. ბენედიქტოვმა დაამთავრა სიტყვა. კოლმეურნეობათა მოედანი, სადაც მრავალი ათასი ადამიანი იყო თავმოყრილი, დაჰფარა ტაშისა და ინტერნაციონალის ხმამ. ნელნელა ძირს დაეშვა მთავარი პავილიონის ალამი. ამავე დროს ეშვებოდა რესპუბლიკური პავილიონების ალმებიც.

გამოფენა დახურულია, მაგრამ პავილიონების კარები ჯერ კიდევ სტუმართმოყვრულად ღიაა. დირექციის განკარგულებით მნახველთა მიერ პავილიონების დათვალიერება გაგრძელებულია საღამოს 7 საათამდე. მიტინგზე დამსწრე ხალხმა მიაშურა პავილიონებს, რომ უკანასკნელად დაეთვალიერებინა 1940 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენა.

საქართველოს პავილიონში ერთერთი პირველი შედის კაზახსტანის დიდი ექსკურსია. მას ეკუთვნის ერთერთი უკანასკნელი ჩანაწერი საქართველოს პავილიონის მნახველთა წიგნში. ეს ჩანაწერი თავდება სიტყვებით: „მადლობა ქართველ ხალხს, რომელმაც მოგვცა დიდი **სტალინი**".

საქართველოს სს რესპუბლიკაში ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში გაწვევის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

„სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი რეზერვების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულებისა და „ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სკოლებში გაწვევის შესახებ" სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 2 ოქტომბრის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სს რესპუბლიკაში 1940 წლის 10-დან 25 ნოემბრამდე სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სკოლებში გაწვეულ (მობილიზებულ) იქნას ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობა მამრობითი სქესისა 4.700 კაცის რაოდენობით, მათ შორის სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში 14-15 წლის ასაკის 3.100 ახალგაზრდა და საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სკოლებში 16-17 წლის ასაკის 1.600 ახალგაზრდა.

2. დამტკიცდეს სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში გაწვეულ ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის კონტინგენტის ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მიხედვით განაწილება შემდეგი წესით:

ავტონომიური რესპუბლიკები, ოლქი, ქალაქები, რაიონები.	სულ სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში გაწვეულ იქნას ქალაქის ახალგაზრდობა 14—15 წლის ასაკის	სულ გაწვეულ იქნას კოლმეურნე ახალგაზრდობა	მათ შორის: სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში 14—15 წლის ასაკის ახალგაზრდები	მათ შორის: საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში 16—17 წლის ასაკის ახალგაზრდები	ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის მთელი გასაწვევი კონტინგენტი
აფხაზეთის ასსრ	110	164	56	108	274
აჭარის ასსრ	130	70	35	35	200
სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი	20	120	40	80	140
ქ. თბილისი	1400	—	—	—	1400
ქ. ქუთაისი	140	—	—	—	140
ქ. ჭიათურა	20	—	—	—	20
ქ. ფოთი	40	4	2	2	44
აბაშის რაიონი	—	40	20	20	40
ადიგენის „	—	25	5	20	25
ამბროლაურის „	—	55	20	35	55
ასპინძის „	—	25	5	20	25
ახალქალაქის „	5	75	20	55	80
ახალციხის „	10	45	15	30	55
ბაშკიჩეთის „	—	40	10	30	40
ბოგდანოვკის „	—	35	10	25	35
ბორჯომის „	20	30	10	20	50
ბორჩალოს „	—	45	10	35	45
ვანის „	—	55	20	35	55
გეგეჭკორის „	—	45	20	25	45
გორის „	25	78	30	48	103
გურჯაანის „	5	75	30	45	80
დუშეთის „	5	50	20	30	55
ზესტაფონის „	20	57	20	37	77
ზუგდიდის „	20	45	20	25	65
ყაზბეგის „	—	2	1	1	2
ყარაიის „	—	15	5	10	15
ქარელის „	—	45	20	25	45
კასპის „	—	40	20	20	40
ყვარლის „	—	35	10	25	35
ქვემო-სვანეთის „	—	3	1	2	3
ქუთაისის „	—	47	20	27	47
ლაგოდეხის „	—	40	15	25	40
ლანჩხუთის „	—	25	10	15	25
ლუქსემბურგის „	—	40	10	30	40
მახარაძის „	15	37	10	27	52
მაიაკოვსკის „	—	40	15	25	40
მცხეთის „	—	25	10	15	25
ონის „	5	45	20	25	50
ორჯონიკიძის „	—	50	20	30	50
საგარეჯოს „	—	40	20	20	40
სამტრედიის „	20	48	25	23	68
საჩხერის „	—	55	20	35	55
სიღნაღის „	5	50	25	25	55
თბილისის „	—	45	20	25	45
თეთრი წყაროს „	—	45	20	25	45
თიანეთის „	—	25	10	15	25
თელავის „	20	75	30	45	95
ტყიბულის „	15	35	15	20	50
ხაშურის „	25	45	30	15	70
ხობის „	—	30	10	20	30
ცაგერის „	—	47	20	27	47
წალენჯიხის „	—	33	10	23	33
წალკის „	—	45	10	35	45
წითელწყაროს „	—	40	20	20	40
წულუკიძის „	10	47	20	27	57
ცხაკაიას „	15	31	10	21	46
წყალტუბოს „	—	35	15	20	35
ჭიათურის „	—	55	25	30	55
ჩოხატაურის „	—	30	10	20	30
ჩხარის „	—	50	20	30	50
ჩხოროწყუს „	—	27	10	17	27

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს გასაწვევი კონტინგენტის საფუძველზე, ამა დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, 1940 წლის 1 ნოემბრისათვის თვითეული ქალაქისა და ადმინისტრატიული რაიონის მიხედვით დააწესონ სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში გასაწვევ ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის რაოდენობა.

4. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) არა უგვიანეს 1940 წლის 5 ნოემბრისა კოლმეურნე ახალგაზრდობის რიცხვიდან გასაწვევთა რაოდენობა განაწილონ კოლმეურნეობებზე;

ბ) სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სკოლებში ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის გაწვევის ჩასატარებლად ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში შექმნან კომისიები მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის (კომისიის თავმჯდომარე), ქალაქის, რაიონის პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლისა და საქართველოს ალკკ საქალაქო, რაიონული კომიტეტის მდივნის შემადგენლობით;

გ) სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის გაწვევა დაიწყონ ა. წ. 10 ნოემბრიდან და დაამთავრონ არა უგვიანეს 25 ნოემბრისა;

დ) უზრუნველჰყონ სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში გაწვეულთა მომარაგება კოლმეურნეობათა ხარჯზე ზედა ტანისამოსით, ფეხსაცმლით, ორი წყვილი თეთრეულით, დანიშნულების ადგილზე ჩასვლამდე კვების პროდუქტებით და უზრუნველჰყონ გაწვეულნი ტრანსპორტით რკინიგზის სადგურამდე მისასვლელად.

5. დაევალოს საქალქო და რაიონულ კომისიებს უზრუნველჰყონ გაწვეულ ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის სათანადო საექიმო შემოწმება და თვითეულ გაწვეულს ხელზე მისცენ სახელოსნო სასწავლებელში, რკინიგზის სასწავლებელსა ან საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლაში წასასვლელი საგზური სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს მიერ დაწესებული ფორმით, კომისიის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბეჭედდასმული.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე**

თბილისი. 1940 წლის 15 ოქტომბერი.

ცნობა

სსრ კავშირისა და ფინეთის ცენტრალური შერეული სასაზღვრო კომისიისა

1940 წლის 12 მარტის საზავო ხელშეკრულებისა და საზღვრის აღწერის 1940 წლის 29 აპრილის ოქმის შესაბამისად, დამთავრდა დემარკაცია სსრ კავშირისა და ფინეთის სახმელეთო - და საზღვაო საზღვრისა, რომლის საერთო სიგრძე 705 კილომეტრს უდრის. დემარკირებული საზღვრის გასწვრივ დადგმულია 1.036 სახმელეთო და 38 საზღვაო სასაზღვრო ნიშანი.

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება

„საქჩაის" 15 ოქტომბრის ცნობებით

რაიონები	წლიური გეგმა ტონობით	მოკრეფილია სეზონის დაწყებიდან ტონობით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	მოკრეფილი ფოთლის საერთო რაოდენობიდან 1-ლი ხარისხის ფოთლის რაოდენობა პროცენტობით
ბათუმი	1.865	1.881,3	100,9	80,4
ქობულეთი	8.556	8.254,3	96,5	76,6
გალი	4.017	3.888,3	96,8	43,3
ოჩამჩირე	2.344	2.069,2	88,3	40,4
სოხუმი	50	38,1	76,2	56,4
გუდაუთი	70	86,8	124	80,6
მახარაძე	11.174	11.228	100,5	68,3
ჩოხატაური	1.475	1.481,9	100,5	49,4
ლანჩხუთი	3.660	3.656,1	99,9	56,5
სამტრედია	330	296,8	89,9	61,9
წულუკიძე	1.755	1.762,1	100,3	38,5
ქუთაისი	190	195,5	102,9	79,2
წყალტუბო	430	434.9	101,1	46,7
ტყიბული	620	643,2	103,7	71
ცხაკაია	1.230	1.237,4	100,6	44
გეგეჭკორი	3.037	3.045,2	100,3	41,1
ზუგდიდი	5.908	5.931	100,4	60,6
წალენჯიხა	2.072	1.795,4	86,7	49,1
ჩხოროწყუ	1.820	1.601,7	88	54,1
ხობი	511	520	101,8	41,6
სულ რესპუბლიკაში	**51.114**	**50.046,2**	**97,9**	**59,8**

ზუგდიდისა და ნარაზენის (ზუგდიდის რაიონი) ჩაის ფაბრიკების ცნობები 10 ოქტომბრისაა.

15 ოქტომბერს წელს მოკრეფილი ფოთლის საერთო რაოდენობიდან მეორე ხარისხისა იყო 10,3 პროცენტი, მესამე ხარისხისა კი—29,9 პროცენტი.

ლექცია

სოციალისტური შრომის შესახებ*

I

მარქსმა და ენგელსმა შექმნეს შრომის მეცნიერული თეორია, რომელიც შემდეგ განავითარეს ლენინმა და სტალინმა.

მარქსის მიხედვით, შრომა „არის მიზანშეწონილი მოქმედება სახმარ ღირებულებათა შესაქმნელად, ბუნების მონაცემის მითვისება ადამიანის მოთხოვნილებისათვის". შრომა—ეს სპეციფიკური ადამიანური თვისებაა, რომელიც არ ახასიათებს არცერთ სხვა ცხოველს.

ადამიანი თავის წარმოშობას შრომას უნდა უმადლოდეს, შრომის საშუალებით გამოეყო იგი ცხოველთა სამეფოს და გახდა ადამიანად. შრომა — ამბობს ფ. ენგელსი — „პირველი ძირითადი პირობაა ადამიანთა არსებობისა—და ეს იმ ზომით, რომ ჩვენ გარკვეული აზრით უნდა ვთქვათ: შრომამ შექმნა თვით ადამიანი".[1])

ბუნება ადამიანს აძლევს მასალას, რომელსაც ადამიანის შრომა უცვლის სახეს და აქცევს მას ადამიანის არსებობისათვის საჭირო საგნებად. მოხდენილად ამბობდა ცნობილი ეკონომისტი უილიამ პეტი: „მიწა სიმდიდრის დედაა, შრომა კი მამა". შრომა ყოველგვარი სიმდიდრის წყაროა, იგი ადამიანთა საზოგადოების განვითარების, პროგრესის საფუძველია, შრომა ადამიანთა საზოგადოების არსებობის პირველი და გადამწყვეტი პირობაა, შრომის გარეშე საზოგადოებას, როგორიც არ უნდა იყოს მისი ფორმა, არ შეუძლია არსებობა. შრომა „არის მარადიული ბუნებრივი აუცილებლობა ადამიანთა ცხოვრებისა და ამიტომ დამოუკიდებელია ამ ცხოვრების ამა თუ იმგვარი ფორმისაგან, პირიქით საერთოა მისი ყველა საზოგადოებრივი ფორმისათვის".[2])

მშრომელი მასების შრომა წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიის საფუძველს. მასების **„შრომა ნამდვილად დიადი და შემოქმედი შრომაა, რომელიც სწყვეტს ისტორიის ბედ-იღბალს"** (სტალინი)

რადგანაც ასე დიდი და გადამწყვეტია შრომის როლი და ადგილი ადამიანთა ცხოვრებაში, თითქოს იგულისხმება, რომ შრომა ადამიანთა საზოგადოებაში უნდა იყოს ნამდვილად ადამიანური შრომა, მას უნდა შეეძლოს „ლაღად გაშლა", მას უნდა ეჭიროს საპატიო ადგილი, იგი დიდებისა და პატივის შარავანდედით უნდა იყოს მოსილი, მაგრამ, ეს ასე არ არის ექსპლოატატორულ, კლასობრივ საზოგადოებაში. ადამიანის შრომამ თავისი ბუნებრივი, ნამდვილი საპატიო ადგილი მოიპოვა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში—დიად საბჭოთა ქვეყანაში.

II

კაცობრიობის განვითარების პირველ საფეხურზე — პირველყოფილ თემურ წყობილებაში, როგორც ცნობილია, არ არსებობდა კერძო საკუთრება, არ არსებობდა კლასები, არ არსებობდა ექსპლოატაცია. შრომა აქ იყო საერთო და განაწილებაც საერთო. მაგრამ საწარმოო ძალთა განუვითარებლობის გამო, იმის გამო, რომ ადამიანი უაღრესად უძლური იყო ბუნებასთან ბრძოლაში, შრომა იყო მძიმე და აუტანელი. შეცდომაა თითქოს პირველყოფილი ადამიანი მუქთად იღებდა ბუნებისაგან ყოველივეს. „წარმოდგენა, თითქოს პირველყოფილი ადამიანი — ამბობს ლენინი — ყოველივე აუცილებელს მუქთად იღებდა ბუნებისაგან, უაზრო ზღაპარია, რომლისთვისაც ბ-ნ ბულგაკოვს სრულიად ნორჩი სტუდენტებიც კი დაუსტვენენ. არავითარი ოქროს საუკუნე ჩვენამდე არ ყოფილა და პირველყოფილი ადამიანი საშინლად იტანჯებოდა არსებობის სიძნელისაგან, ბუნებასთან ბრძოლის სიძნელისაგან".[3])

III

ადამიანის იძულებითი მუშაობა პირველად შემოღებულ იქნა მონათმფლობელურ საზოგადოებაში. მონათმფლობელობა — ეს არის პირველი კლასობრივი საზოგადოება, კერძო საკუთრებაზე დამყარებული პირველი საზოგადოება, „სადაც უკვე გაბატონებულია იძულებითი შრომა მონებისა, რომლებსაც ექსპლოატაციას უწევენ არამშრომელი მიწათმფლობელნი" (სტალინი).

მონების იძულებითი შრომით შეიქმნა უზარმაზარი სასახლეები, წყალსადენები, აშენდა ქალაქები და გაყვანილ იქნა გზები. სიმდიდრის უდიდეს ნაწილს ქმნიან მონები, ხოლო მთელი სიმდიდრე ეკუთვნის ერთ მუჭა მონათმფლობელებს. მონა აქ ითვლება ჩვეულებრივ შინაურ პირუტყვად „მეტყველების უნარით დაჯილდოებულ იარაღად" (მარქსი).

მონების შრომა როგორც ფაქტიურად, ისე ფორმალურად იძულებით ხასიათს ატარებს, იგი არაფრით არ არის დაფარული. კანონმდებლობა, გაბატონებული საზოგადოებრივი აზრი მონების იძულებით შრომას სთვლის სავსებით სამართლიან მოვლენად.

ისტორია იცნობს არა ერთ და ორ მძლავრ მასობრივ მონათა აჯანყებას, რომელიც მიმართული იყო შრომის განთავისუფლებისაკენ.

IV

ფეოდალიზმში „ექსპლოატაცია თითქმის ისევე სასტიკია, როგორც მონობის დროს" (სტალინი).

შრომის იძულების მთავარი საშუალებაა გლეხის პირადი დამოკიდებულება მებატონისაგან, ე. წ. „გარეეკონომიური იძულება". გლეხი მიმაგრებულია მიწაზე. „ყმა — ადგილ-მამულის დამატებაა" (მარქსი). იგი ვალდებულია იმუშაოს მემამულის სასარგებლოდ. მემამულეს აქვს პირდაპირი ძალაუფლება გლეხის პიროვნების მიმართ.

ფეოდალური ექსპლოატაცია უხეში და სასტიკია, გლეხები სრულიად უსასყიდლოდ დროის მეტ ნაწილს მუშაობენ მემამულის სასარგებლოდ. აუტანელი და დამამცირებელი შრომა გლეხობაში იწვევდა უსაზღვრო უკმაყოფილებას და პროტესტებს. ცნობილია მრავალი მძლავრი გლეხური აჯანყება, რომლებიც მიმართული იყო შრომის განთავისუფლებისაკენ.

V

კაპიტალისტურ წყობილებაში მუშა ფორმალურად თავისუფალი მოქალაქეა. აქ უკვე წაშლილია იძულების გარეგანი სახე, იგი დაფარულია ბურჟუაზიული საბურველით.

„თავისუფალი მუშა" თავისი მდგომარეობით საზოგადოებაში ყოველმხრივ დამოკიდებულია კაპიტალისტებზე. მუშა, მართალია, იურიდიულად „თავისუფალი" მოქალაქეა, მაგრამ იგი ამასთან თავისუფალია საწარმოო საშუალებებისაგან, ჩამოშორებულია მას და, როგორც ასეთი, როგორც პროლეტარი, რომელსაც არაფერი არ გააჩნია, გარდა თავისი სამუშაო ძალისა, იძულებულია სამუშაოსათვის მიმართოს კაპიტალისტს, მიჰყიდოს თავისი სამუშაო ძალა და ამით თავი დააყენოს ექსპლოატაციის უღელქვეშ. მუშები წარმოადგენენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც „თავისუფალი არიან პირადი დამოკიდებულებისაგან", მაგრამ რომლებიც მოკლებული არიან წარმოების საშუალებებს და, შიმშილით რომ არ ამოწყდნენ, იძულებული ხდებიან მიჰყიდონ თავისი სამუშაო ძალა კაპიტალისტს და ექსპლოატაციის უღელი ატარონ კისერზე".[4]).

კაპიტალისტური შრომის დისციპლინა — ეს არის „შიმშილის დისციპლინა". შიმშილით სიკვდილის შიში აიძულებს მუშას იმუშაოს კაპიტალისტთან, დაემორჩილოს კაპიტალისტურ საწარმოში არსებულ წესებს. მუშები აქ იქცევიან დაქირავებულ მონებად.

გარეგნულად თავისუფალი მუშა ნამდვილად მიჯაჭვულია კაპიტალისტზე. გარეგნულად თავისუფალი შრომა ნამდვილად წარმოადგენს იძულებით შრომას. ამიტომ ამბობდა კ. მარქსი, რომ „რომაელი მონა მიბმული იყო ჯაჭვით. დაქირავებული მუშა მიბმულია უხილავი ძაფებით თავის მესაკუთრესთან, მაგრამ ამ მესაკუთრედ ითვლება არა ცალკე კაპიტალისტი, არამედ კაპიტალისტთა კლასი".

კაპიტალისტურ საწარმოებში მუშები მუშაობენ 10-14 საათამდე, ღებულობენ კი უაღრესად მცირე ხელფასს. ცხოვრობენ ბინძურ ბინებში, არაადამიანურ პირობებში. მილიონობით უმუშევრებიდან ათასობით იხოცებიან შიმშილით.

მუშის ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად კაპიტალმა შრომას მისცა საზოგადოებრივი ხასიათი, მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოებაში შრომა უშუალოდ არ ატარებს საზოგადოებრივ ხასიათს — ყოველი ცალკე ინდივიდუალური მუშის შრომა ატარებს პირად, კერძო ხასიათს. მუშა სრულიადაც არ არის დაინტერესებული წარმოების პროცესით, მისი საზოგადოებრივი შედეგებით, „მისი მოქმედების პროდუქტი არ არის მისი მიზანი" (მარქსი). ამიტომ არის რომ, როგორც მარქსი ამბობს, „შრომას იგი არ თვლის ცხოვრებად; უფრო შეიძლება ითქვას, რომ შრომას თავისი სიცოცხლის განწირვად სთვლის".[5]).

ამხანაგმა სტალინმა ასე დაახასიათა შრომისადმი დამოკიდებულება კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

„კაპიტალიზმის დროს შრომას კერძო, პირადი ხასიათი აქვს. მეტს გამოიმუშავებ, მეტს მიიღებ და იცხოვრებ როგორც გენებოს. არც არაფრად მიაჩნიხარ ვისმე და არც სურს მიგიჩნიოს. შენ კაპიტალისტებისათვის მუშაობ, შენ მათ ამდიდრებ, მაშ როგორ გინდა? იმისთვის დაგიქირავეს, რომ ექსპლოატატორები გაამდიდრო. თუ ეს არ მოგწონს, მიბრძანდი უმუშევართა რიგებში და იბოგინე როგორც გენებოს — ჩვენ სხვებს, უფრო თვინიერებს ვიპოვნითო. სწორედ ამიტომ არის, რომ ადამიანის შრომა კაპიტალიზმის დროს დიდად როდი ფასობს".[6])

მშრომელი მასების მიერ შექმნილი უზარმაზარი სიმდიდრე ერთი მუჭა კაპიტალისტების ხელშია. მილიონიანი მასების ნებისყოფაზე და უფლებებზე ბატონობს რამდენიმე ათეული კაპიტალისტი. საფრანგეთის მთელი სახალხო მეურნეობა 200 ოჯახის ხელშია მოქცეული. ამერიკაში მარტო მორგანი ჰფლობს 74 მილიარდ დოლარს. ეს მაშინ, როცა ისინი, ვინც შექმნა მთელი ეს სიმდიდრე, საჭმლის საძებნელად სანაგვე ყუთებს ქექავენ.

მშრომელი ხალხი ყოველთვის იბრძოდა და იბრძვის შრომის უფლების ძალდატანებით მოპოვებისათვის. პროგრესიულად მოაზროვნე ადამიანები, კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები ყოველთვის ოცნებობდნენ და იბრძოდნენ შრომის თავისუფლებისათვის.

VI

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შედეგად, ძველი ექსპლოატატორული წყობილების დამხობის შედეგად შეიქმნა „შრომის ხელისუფლება" (ლენინი) და კაცობრიობის ისტორიაში პირველად მოხდა უდიდესი შეცვლა იძულებითი შრომისა, სხვისთვის შრომისა თავისთვის, საზოგადოებისათვის შრომით. ოქტომბრის რევოლუციის დღეებში ლენინი საქვეყნოდ აცხადებდა, რომ **„საუკუნეობით სხვებისთვის შრომის, ექსპლოატატორებისათვის იძულებითი მუშაობის შემდეგ პირველად ხდება შესაძლებელი მშრომელმა თავისთვის იმუშაოს და იმუშაოს იმგვარად, რომ გამოიყენოს უახლესი ტექნიკის და კულტურის ყველა მონაპოვარი".**[7])

შეიცვალა ძველი საწარმოო ურთიერთობა, შეიქმნა ახალი საწარმოო ურთიერთობა, საფუძველი ჩაეყარა შრომის ახალ სოციალისტურ ორგანიზაციას, შრომის ახალ სოციალისტურ დისციპლინას. შრომის სოციალისტური ორგანიზაცია წარმოადგენს მაღალ ტიპს შრომის კაპიტალისტურ ორგანიზაციასთან შედარებით და იგი უზრუნველჰყოფს შრომის გაცილებით მაღალნაყოფიერებას, ვიდრე კაპიტალიზმი. ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

შრომა ჩვენს საზოგადოებაში წარმოადგენს უშუალოდ საზოგადოებრივ შრომას, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. შრომის ყველა სახე, ყოველი მუშაკის პატიოსანი შრომა საჭიროა და სასარგებლოა ჩვენი ქვეყნისათვის. პატიოსანი შრომა ჩვენს ქვეყანაში დგას ისეთ სიმაღლეზე, როგორზედაც იგი არასოდეს არ მდგარა კაცობრიობის ისტორიაში.

სოციალიზმის დროს შრომა არის შრომა თავისათვის, თავისი კლასისათვის, საბჭოთა საზოგადოებისათვის და „სწორედ ამიტომ არის, რომ შრომას ჩვენში საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს" (სტალინი).

საზოგადოებრივი შრომის სოციალისტური ორგანიზაცია შეიცავს შრომის ახალ, სოციალისტურ დისციპლინას. შრომის სოციალისტური დისციპლინის შექმნა და განმტკიცება იწყება ოქტომბრის რევოლუციის მეორე დღიდანვე და ეს პროცესი გრძელდება დღესაც. შრომაზე ადამიანთა შეხედულებაში მოხდა ძირეული გარდატეხა, მშრომელთა აბსოლუტურად დიდ უმრავლესობაში დამკვიდრდა შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულება, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ მოიცავს მთელ მასას. ლენინი არაერთხელ მიუთითებდა, რომ „შრომის დისციპლინის ახალი საფუძვლების გამომუშავება ძალიან ხანგრძლივი პროცესია", რომლისთვისაც ბრძოლა შეიცავს ღონისძიებათა მრავალ სახეს — პედაგოგიურ, აღმზრდელობით, ადმინისტრატიულ და იძულებით საშუალებებს.

საწარმოო საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამკვიდრება, საწარმოებზე მუშათა მფლობელობის დამყარება არსებით გარდატეხას ახდენს ადამიანთა დამოკიდებულებაში საწარმოსადმი.

საბჭოთა კავშირის მუშებმა კარგად იციან, რომ თუ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მუშა „შრომის ნაყოფიერების ზრდასთან პროპორციულად ქმნის სხვის გამდიდრებას და თავის საკუთარ გაღატაკებას" (მარქსი), ჩვენთან, პირიქით, შრომის ნაყოფიერების ყოველი ახალი გადიდება, წარმოების ყოველი ახალი გაუმჯობესება მოასწავებს მისი პირადი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მუშათა ამ შეგნებას საფუძვლად უდევს მათი მდგომარეობა ადამიანთა შრომითს ურთიერთობაში და ამ შეგნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საწარმოო ძალთა შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის.

უაღრესად დამახასიათებელია განთავისუფლებული ლატვიის ერთერთი ძველი მუშის დრაზნინის მოქმედება.

დრაზნინს დაებადა აზრი ერთერთი მანქანის გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ, როგორც იგი აცხადებს, ამის შესახებ მან არავის არაფერი გაუმხილა, რადგანაც იცოდა, რომ მანქანის გაუმჯობესება მუშებს სარგებლობას არ მოუტანდა, რომ ეს მხოლოდ კაპიტალისტის ჯიბეს გაასქელებდა.

მაგრამ ხდება დიამეტრალური გარდატეხა.

ლატვიაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, საწარმოები ჩამოერთვათ კაპიტალისტებს და გადავიდა მუშათა მფლობელობაში. დრაზნინი ახლა განთავისუფლებული მუშაა, საბჭოთა მუშაა, მან ახლა იცის, რომ მანქანა მუშის სასარგებლოდ მუშაობს. იგი მივიდა ქარხნის ინჟინერ ლევინსონთან და სრულიად გულწრფელად გააცნო თავისი აზრი. ინჟინერი მას დაეხმარა და იდეამ ხორცი შეისხა. ახლა უკვე მზადდება დრაზნინის მიერ გამოგონებული მანქანა, რომელიც მალე დაიწყებს მუშაობას. ეს ახალი მანქანა შრომის ნაყოფიერებას ადიდებს 15-20 პროცენტით.

სამოქალაქო ომის ქარცეცხლში, სამეურნეო ნგრევის პერიოდში, უმძიმეს მატერიალურ პირობებში შრომისადმი ახალი სოციალისტური დამოკიდებულება ამოძრავებდა მუშათა მასებს, როცა ისინი იძლეოდნენ შრომითი გმირობისა და სიმამაცის ნიმუშებს და ეხმარებოდნენ წითელ არმიას გამარჯვების მოპოვებაში. სწორედ ამ პერიოდში წარმოიშვა პირველი „კომუნისტური შაბათობა", რომელიც ლენინმა შეაფასა როგორც „დიადი დასაწყისი", როგორც შრომისადმი ახალი სოციალისტური დამოკიდებულების დასაწყისი. მოწინავე მუშები გამოდიოდნენ თავიანთი ინიციატივით და მუშაობდნენ სრულიად უსასყიდლოდ. პარტიისა და მთავრობის პირველ მოწოდებისთანავე დაკვრითი წესით ასრულებდნენ ყოველ დაკვეთას. საწარმოთა კოლექტივებს საკუთარი ინიციატივით ერთი-მეორეზე გამოჰქონდათ გადაწყვეტილება სამუშაო დღის ერთი საათით გადიდების შესახებ და სასტიკად მეთვალყურეობდნენ შრომის დისციპლინას.

ლენინი სამოქალაქო ომის პერიოდში მუშათა ამ შრომითს თავდადებას. სთვლიდა ისეთსავე გმირობად, როგორსაც იჩენდნენ წითელარმიელები კონტრრევოლუციის წინააღმდეგ თავგანწირულ ბრძოლაში.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ გაიშალა ფართო სამეურნეო აღმშენებლობითი მუშაობა. მუშათა ენერგიული შრომით, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით შესაძლებელი გახდა უმოკლეს ისტორიულ ვადაში აღდგენილიყო მსოფლიო და სამოქალაქო ომებით დანგრეული და გაპარტახებული სახალხო მეურნეობა.

სახალხო მეურნეობის აღდგენის შემდეგ პარტიამ დასახა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გრანდიოზული გეგმა, სოციალიზმის ეკონომიკის აგების გეგმა. სტალინურმა ხუთწლიანმა გეგმამ, რომელიც წარმოადგენდა სოციალიზმის ეკონომიკის საძირკვლის აგების ხუთწლედს, გამოიწვია მასების ახალი შრომითი ენტუზიაზმი, განმტკიცდა სოციალისტური შრომის დისციპლინა. პირველ ხუთწლედში დაიწყო და გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, სწრაფად გავრცელდა დამკვრელი ბრიგადები, საზოგადოებრივი ბუქსირი, წუნის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფები და სხვ. სოცშეჯიბრება გადაიქცა შრომის დისციპლინის განმტკიცების — შეგნებული ამხანაგური დისციპლინის განმტკიცების, ახალი შრომითი აღმავლობის უდიდეს ძალად.

მასების აქტივობის და ენტუზიაზმის საფუძველზე წარმოიშვა დიადი ლოზუნგი „ხუთწლედი ოთხ წელში", რომელსაც ჰქონდა დიდი მამობილიზებელი და დამრაზმავი ძალა.

ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ყოველგვარი პირობების მოსპობის, სახალხო მეურნეობის უახლესი ტექნიკით შეიარაღების, ახალი კადრების გამოზრდის შედეგად და იმის შედეგად, რომ ამაღლდა მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონე, ცხოვრება გახდა ბედნიერი და სამური, შეიქმნა ახალი მატერიალური საფუძველი უფრო მძლავრი შრომითი აღმავლობისათვის, ახალ მატერიალურ საფუძველზე წარმოიშვა ახალი ძლევამოსილი მოძრაობა — სტახანოვური მოძრაობა.

სტახანოვური მოძრაობა წმინდა საბჭოთა, სოციალისტური მოვლენაა. არცერთ სხვა საზოგადოებრივ წყობილებაში არ შეიძლება წარმოიშვას მშრომელი მასების ასეთი შესანიშნავი მოძრაობა, რომელიც წარმოადგენს შემოქმედებითი შრომის ბრწყინვალე ნიმუშს. შემოქმედებითი შრომა შეიძლება მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში, სადაც მუშაკები სამუშაოს ეკიდებიან სიყვარულით, სადაც მომუშავე დაინტერესებულია შრომის პროცესით და მისი შედეგებით, როცა მომუშავეს შეგნებული აქვს მისი შრომის აუცილებლობა და საერთო-საზოგადოებრივი სარგებლიანობა. სტახანოვური მოძრაობა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში წარმოშობილი დიდი სახალხო შრომითი მოძრაობაა.

სტახანოვური მოძრაობა განვითარდა ამხანაგ სტალინის მიერ ნაჩვენები გზით. გამრავლდა სტახანოველთა რიგები, სტახანოვურმა მოძრაობამ მოიცვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. მთელი რიგი სტახანოველები ქმნიან შრომის ნაყოფიერების მსოფლიო რეკორდებს, უკან იტოვებენ თვით ყველაზე მოწინავე კაპიტალისტურ საწარმოებში მიღწეულ გამომუშავების ნორმებს.

სტახანოვური მოძრაობა თავისი ბუნებით რევოლუციურია. ამიტომ იგი სულ უფროდაუფრო ვითარდება, ადის ახალ მაღალ საფეხურზე, იღებს ახალ უფრო რთულ ფორმებს და მასობრივ ხასიათს. ცნობილია, რომ უკანასკნელად გაიშალა მრავალდაზგოსანთა მოძრაობა და პროფესიათა შეთავსებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძლევამოსილი ფერგანული მოძრაობა, რომელიც წარმოადგენს მასების შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლინებას. 272 კილომეტრის სიგრძის არხის გაყვანა 45 დღის განმავლობაში — ეს შრომითი თავდადების, დევგმირული მუშაობის იშვიათი ნიმუშია, რომელსაც დღემდე არ იცნობს კაცობრიობის ისტორია.

ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში შრომა განაწილებულია შრომისუნარიან ყველა წევრზე. შრომის სოციალისტური ორგანიზაციის უპირველესი პრინციპია: შრომის სავალდებულობა შრომისუნარიან ყველა მოქალაქისათვის. ჩვენს ქვეყანაში გაბატონებულია პრინციპი: „ყველას შრომის მიხედვით. ვინც არ შრომობს, არც სჭამს". შრომის ეს უფლება, განაწილების ეს პრინციპი საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია დიად სტალინურ კონსტიტუციაში.

სოციალიზმი ეყრდნობა შრომას, სოციალიზმი მშრომელთა საზოგადოებაა. შრომამ თავისი დაუბრკოლებელი განვითარების პირობები სოციალიზმში ჰპოვა და იგი საზოგადოების წევრთა უდიდესი უმრავლესობისათვის იქცა შემოქმედებით შრომად. შრომა სოციალისტური საზოგადოების საფუძველია, იგი სახალხო დოვლათისა და სოციალისტური კულტურის დაუშრეტელი წყაროა.

ამხანაგმა სტალინმა მოგვცა სოციალიზმში შრომის როლის ჭეშმარიტი გაგება. აი რას ამბობდა იგი დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ ყრილობაზე:

„ზოგჯერ ამბობენ: სოციალიზმში რაღა საჭიროა შრომაო? ვშრომობდით წინათ, ვშრომობთ ახლაც — დრო არ არის, რომ თავი დავანებოთ შრომასო? ასეთი სიტყვები, ამხანაგებო, ძირშივე შემცდარია. ეს არის უქნარების ფილოსოფია, და არა პატიოსანი მშრომელებისა. სოციალიზმი სრულიადაც არ უარჰყოფს შრომას, პირიქით, სოციალიზმი შენდება შრომაზე. სოციალიზმი და შრომა განუყრელია ერთმანეთისაგან. ლენინი, ჩვენი უდიდესი მასწავლებელი, ამბობდა: „ვინც არ შრომობს, არ სჭამსო". რას ნიშნავს ეს, ვის წინააღმდეგ არის მიმართული ლენინის სიტყვები? ექსპლოატატორების წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც თვითონ არ შრომობს, სხვას აიძულებს იშრომოს და მდიდრდება სხვის ხარჯზე. კიდევ ვის წინააღმდეგ არის მიმართული? იმათ წინააღმდეგ, ვინც თვითონ ზარმაცობს და უნდა სხვის ხარჯზე მოითბოს ხელი. სოციალიზმი მოითხოვს არა სიზარმაცეს, არამედ იმას, რომ ყველა ადამიანი პატიოსნად მუშაობდეს, შრომობდეს არა სხვებისათვის, არა მდიდრებისა და ექსპლოატატორებისათვის, არამედ საკუთარი თავისათვის, საზოგადოებისათვის".[8])

სოციალისტური საზოგადოების თვითეული მოქალაქის პატიოსანი შრომა არის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, მთელი შრომა არის აუცილებელი შრომა. სოციალიზმი არ იცნობს სამუშაო დღის დაყოფას „აუცილებელ სამუშაო დროდ" და „ზედმეტ სამუშაო დროდ".

მუშები ქმნიან იმაზე მეტს, ვიდრე უშუალოდ მოიხმარებენ, და ეს გარდამეტი უშუალო, პირად საჭიროებას ზევით მიდის დაგროვებისათვის, წარმოების განახლებისა და გაფართოებისათვის, საარსებო საშუალებათა მარაგის შესაქმნელად, შესაძლებელი ზარალისა და უბედურ შემთხვევათა ასანაზღაურებლად, საერთო საზოგადოებრივი სარგებლობისათვის საჭირო ხარჯების დასაფარავად და სახელმწიფო მართველობის ხარჯების ასანაზღაურებლად.

მართალია, ყოველი მუშაკი იღებს მის მიერ შექმნილი ღირებულების მხოლოდ ერთ ნაწილს, მაგრამ მეორე ნაწილი მას მაინც აუცილებლად უბრუნდება, როგორც საზოგადოების წევრს. ყოველმა მშრომელმა კარგად იცის, რომ მის მიერ შექმნილ ღირებულებიდან გამოკლებული იხარჯება სკოლების, საავადმყოფოების, დასასვენებელი სახლების მოწყობაზე, გზების გაყვანაზე, ქალაქების კეთილმოწყობაზე, ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებაზე, იხარჯება ყველაფერი იმაზე, რაც მას აუცილებლად სჭირდება, როგორც საზოგადოების წევრს და რაც მას განცალკევებულად არ შეუძლია მოაწყოს. ამას ნათლად ხედავს და პირადად განიცდის ყოველი მუშაკი. ეს მისთვის სავსებით გასაგები აუცილებლობაა.

ჩვენს ქვეყანაში ყველა იღებს შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, ვინც მეტს მუშაობს, ის მეტს იღებს, ვინც ცოტას მუშაობს, ცოტას იღებს, ვინც არ მუშაობს, ის არც სჭამს — ეს პრინციპი არის ერთადერთი ბუნებრივი და სავსებით სამართლიანი პრინციპი სოციალიზმში.

ვინც მეტს შრომობს, მეტს იღებს და უკეთესადაც ცხოვრობს — ჩვენი ცხოვრების ეს კანონი წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების, შრომითი დაინტერესების, სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცების მძლავრ მატერიალისტურ სტიმულს, რომელიც აუცილებელი და დამახასიათებელია კომუნიზმის დაბალი ფაზის — სოციალიზმისათვის.

შრომა ჩვენს ქვეყანაში სიმამაცისა და გმირობის საქმეა, იგი საყოველთაო პატივისცემისა და დიდების შარავანდედითაა მოსილი. შრომა სწყვეტს ყოველი ადამიანის პირად და საზოგადოებრივ მდგომარეობას, პირად და საზოგადოებრივ კეთილდღეობას. ამხანაგმა სტალინმა ამომწურავად განსაზღვრა შრომის როლი, როგორც ერთადერთი განმსაზღვრელი ადამიანის მდგომარეობისა საზოგადოებაში.

„არა ქონებრივი მდგომარეობა, არა ნაციონალური წარმოშობა, არა სქესი, არა სამსახურებრივი მდგომარეობა, არამედ თვითეული მოქალაქის პირადი უნარი და პირადი შრომა განსაზღვრავენ მის მდგომარეობას საზოგადოებაში".[9])

გუშინ სრულიად უჩინარი ადამიანი თავისი ენერგიული შრომით და უნარით დღეს შეიძლება საყოველთაოდ ცნობილი პირი გახდეს, იგი თავისი პირადი პატიოსანი შრომით იმსახურებს მთელი საზოგადოების, მთელი ქვეყნის პატივისცემასა და სიყვარულს.

ალექსი სტახანოვი მრავალი წლის განმავლობაში სოფელში მოჯამაგირედ იყო. 1927 წელს ის იწყებს მუშაობას დონბასის ერთერთ მაღაროში ცხენის მწმენდავად. მალე იგი მუყაითი შრომით ხდება მნგრეველი. მუშაობს მნგრეველად, უსაზღვროდ უყვარს თავისი საქმე, ეუფლება ტექნიკას და აღწევს ნგრევის სარეკორდო მაჩვენებლებს. სრულიად უბრალო ადამიანი, რომლის ნაცნობობა მისი მაღაროთი შემოიფარგლებოდა, ერთბაშად ხდება მთელი ჩვენი ქვეყნისათვის ცნობილი პირი. მისი სახელით აღინიშნა ძლევამოსილი მოძრაობა, გუშინდელი მნგრეველი დღეს სამრეწველო აკადემიის სტუდენტია, მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის უაღრესად საყვარელი ადამიანი.

სოფლად სოციალიზმის გამარჯვების შედეგად დამკვიდრებული საკოლმეურნეო თავისუფალი შრომის პირობებში წარმოიშვენ შრომის გმირები. როგორც საწარმოებსა და დაწესებულებებში, ისე სოფლადაც საკოლმეურნეო პატიოსანი შრომა — შრომადღეების რაოდენობა განსაზღვრავს კოლმეურნის ადგილს საზოგადოებაში, მის პირად და საზოგადოებრივ კეთილდღეობას. საკოლმეურნეო შრომის გაშლის საფუძველზე შეიცვალა წარმოდგენა გლეხის შრომაზე, შეიცვალა ადამიანთა დაფასების ძველი საზომი, შეიქმნა ახალი ჯანსაღი სოციალისტური წარმოდგენა შრომაზე, გლეხის ყოფა-ცხოვრებაზე და ოჯახურ ურთიერთობაზე. უაღრესად დამახასიათებელია ერთი ჩრდილოელი ქალის ნაამბობი, რომელიც მოიყვანა ამხანაგმა სტალინმა ჭარხლის მინდვრების დამკვრელ კოლმეურნე ქალთა მიღების დროს კრემლში. აი ამ ქალის სიტყვები: „ორი წლის წინათ ჩემს ეზოში ერთი საცოლე ახალგაზრდა არ შემოიხედავდა. მზითევი არა აქვსო! ახლა ხუთასი შრომადღე მაქვს და როგორ გგონიათ? მთხოვნელები მოსვენებას არ მაძლევენ, მეუბნებიან — ცოლად გამოგვყვე. მე კი რა მეჩქარება, თვითონ ავირჩევ საქმაროსო".

მოწინავე პატიოსანი მუშები, კოლმეურნეები და მოსამსახურეები თავიანთი შრომითი საქმიანობით, თავიანთი შეხედულებით შრომაზე, სოციალისტურ საკუთრებაზე ქმნიან საზოგადოებრივ აზრს, რომელიც ხელს უწყობს შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას, წინ სწევს მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეს.

O

ჩვენ ახლა ვიმყოფებით სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხანაში. კომუნიზმის გამარჯვებისათვის ჩვენს ქვეყანაში საჭირო და აუცილებელია საწარმოო ძალთა და ტექნიკის უაღრესად განვითარება, საჭიროა შრომის ნაყოფიერების უაღრესად მაღალი დონე, მაგრამ შრომის ნაყოფიერების ისეთი მაჩვენებლებისათვის ბრძოლა, როგორიც კომუნიზმს შეეფერება, შეუძლებელია შრომის მტკიცე ორგანიზაციის გარეშე, რკინისებური შრომის დისციპლინის გარეშე, ორგანიზებული მუშაობის გარეშე ყოველ საწარმოსა და დაწესებულებაში.

უმოკლეს ისტორიულ ვადაში მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურადაც დაწევისა და გასწრების ამოცანა მოითხოვს მთელი ჩვენი შესაძლებლობების რაციონალურად გამოყენებას, მთელი ჩვენი ძალების მობილიზაციას, წარმოების ტემპებისა და მასშტაბების კიდევ უფრო გადიდებას. განსაკუთრებით ახლა, როცა გაჩაღებულია მეორე იმპერიალისტური ომი, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართოვდება, როცა სულ უფრო და უფრო იზრდება ინტერვენციის საფრთხე ჩვენი ქვეყნის მიმართ, ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება მეტი ლითონი, ქვანახშირი, ნავთი, მეტი ტანკები, ტყვიამფრქვევები, ქვემეხები და თვითმფრინავები. ყოველივე ამისათვის კი საჭიროა დაჭიმული მუშაობა, საჭიროა მშრომელებმა გაიღონ მსხვერპლი მათივე ინტერესებისათვის. თავიანთი საზოგადოებისათვის, საყვარელი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერებისათვის.

ასეთ ვითარებაში შეუძლებელია მოთმენილ იქნას ზოგიერთი მუშაკის თვითნებობა, ფრენიობა, ზარმაცობა და წამგლეჯაობა, რასაც ჯერ კიდევ აქვთ ადგილი მთელ რიგ საწარმოებსა და დაწესებულებებში და რაც ხელს უშლის საერთო საქმეს.

გაცდენებით, სამუშაოზე დაგვიანებით ქვეყანას აკლდება მილიონობით და მილიარდობით მანეთის პროდუქცია.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებანი სავსებით და მთლიანად. გამოხატავენ მშრომელთა აზრს და მისწრაფებას საყვარელი სოციალისტური სამშობლოს კიდევ უფრო გაძლიერებისა და განმტკიცების შესახებ.

შრომის ახალი კანონები სასტიკად ლაგმავენ გაცდენებს, მუშათა დენადობას, წამგლეჯობას.

ლენინი არაერთხელ მიუთითებდა იძულების აუცილებლობაზე ახალი დისციპლინის აღზრდის საქმეში. იგი მოითხოვდა სასტიკ ზომების მიღებას ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც თავს იძვრენს მუშაობისაგან, ვინც არღვევს საერთო დისციპლინას და დეზორგანიზაცია შეაქვს წარმოებაში: „არცერთი გაიძვერა — ამბობდა ლენინი — (მათ შორის მუშაობისაგან თავის დამძვრენიც) არ უნდა სეირნობდეს თავისუფლად, არამედ საპატიმროში იჯდეს ან სასჯელს იხდიდეს უძნელესი სახის იძულებითი სამუშაოზე".[10])

სოციალისტური შრომის დისციპლინა — ეს არის შეგნებული ამხანაგური დისციპლინა. იგი იქმნება უმთავრესად და ძირითადად დარწმუნების მეთოდით. მაგრამ ამასთან ერთად ყოველთვის გამოყენებული იყო და არის იძულების მეთოდი. როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, „ხელმძღვანელობას უზრუნველჰყოფს მასების დარწმუნების მეთოდი, როგორც მასებზე პარტიის მიერ ზეგავლენის მოხდენის ძირითადი მეთოდი, მაგრამ ეს კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს იძულებას". იძულება ყოველთვის გამოიყენება უმცირესობის მიმართ, მაშინ როცა უმრავლესობა ნებაყოფლობით მხარს უჭერს დასახულ ღონისძიებათა გატარებას.

შრომის ახალი კანონები მთელი სიძლიერით იცავენ პატიოსან მუშებს და ასევე მთელი სიძლიერით მიმართული არიან ცუღლუტების, წამგლეჯების, ფრენიების და დეზორგანიზატორების წინააღმდეგ. ეს ახალი კანონები მკვეთრად მიჯნავენ პატიოსან, ენერგიულ მუშაკს ცუღლუტის, გამცდენისა და ფრენიასაგან, რომელთაც სურთ იმუშაონ ცოტა და წაგლიჯონ ბევრი, ე. ი. იცხოვრონ პატიოსანი მშრომელების ხარჯზე.

მთელ რიგ საწარმოებში ხშირად ირღვეოდა და ზოგან ახლაც ირღვევა პროდუქციის დაწესებული ხარისხით გამოშვება, ახლა უკვე სახელმწიფო კანონით დაწესებული და გამოცხადებულია, რომ ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვება ნიშნავს სახელმწიფოსა და ხალხისათვის ზიანის მიყენებას, ქვეყნის სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების შესუსტებას და იგი განიხილება როგორც მავნებლობა, რომელიც ისჯება კანონის მთელი სისასტიკით.

სამუშაო დრო ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენს სახალხო საკუთრებას და იგი მოითხოვს ისეთსავე დამოკიდებულებას, როგორსაც სოციალისტური ქონება. ამიტომ ის, ვინც ფლანგავს დროს, სჩადის ხალხის საწინააღმდეგო საქმეს, ამით ის სჩადის ბოროტებას საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე.

8 საათიან სამუშაო დღეზე და 7-დღიან კვირაზე გადასვლა ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

მართალია, სამუშაო დღე გადიდდა 8 საათამდე, მაგრამ ჩვენი სამუშაო დღე მაინც ყველაზე უმოკლესი სამუშაო დღეა მთელ მსოფლიოში.

მეორე იმპერიალისტური ომის დაწყებასთან დაკავშირებით ბურჟუაზიამ იერიში მიიტანა მუშათა კლასზე, გაუქმებულ იქნა მუშათა ყოველგვარი მონაპოვარი, შემოღებულ იქნა შრომის ბეგარა, გამოცხადდა შრომის მობილიზაცია და მილიტარიზაცია. მუშები, მუშა-ქალები და ბავშვები ჩაყენებულ იქნენ სამხედრო დისციპლინის პირობებში, გადიდდა სამუშაო დღე, გაძვირდა მოხმარების პროდუქტები და მინიმუმამდე დაეცა მუშის რეალური ხელფასი.

ინგლისში სამუშაო კვირა განისაზღვრება 70-74 საათით. გაუქმებულია დასვენების დღეები, როგორც კვირა, ისე სხვა უქმე დღეები. ასევეა საფრანგეთში, სადაც სამუშაო კვირა განისაზღვრება 72 საათით. გერმანიაში სამუშაო დღე 12 საათიდან აღწევს 16 საათამდე. ახალგაზრდობისათვის შემოღებულია შრომის სავალდებულო ბეგარა. მსგავსი მდგომარეობაა იაპონიაში, სადაც სამუშაო დღე 14-16 საათს უდრის.

ბურჟუაზიამ ყველაფერი იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის სამსახურში დააყენა. ჩვენი ვალია დავიცვათ და ურყევად გავატაროთ შრომის ახალი კანონები, კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობა.

შრომის ახალი კანონები წარმოადგენენ ერთერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს მთელ იმ კომუნისტურ აღმზრდელობით სისტემაში, რომელიც ამოქმედებულია მუშათა კლასის დიქტატურის ხელში მასების კომუნისტურად აღზრდის წარმატებით განხორციელებისათვის.

განვითარება მიდის იქითკენ, რომ სოციალისტური შრომა თანდათან გადაიზრდება კომუნისტურ შრომად, როცა შრომა ჯანსაღი ორგანიზმის მოთხოვნილებადაა გადაქცეული, როცა იგი ადამიანისათვის ისეთივე მოთხოვნილებაა, როგორც ჰაერი, პური. ადამიანის მოთხოვნებად გადაქცეული შრომის, — კომუნისტური შრომის მიღწევა შესაძლებელია შრომის უმკაცრესი, შეგნებული რკინისებური დისციპლინის გზით.

ვ. ესაიაშვილი

*) ლექცია წაკითხული იყო ზუგდიდის, მახარაძის, ცხაკაიას, სამტრედიის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის, რაიონების პარტაქტივისათვის. იბეჭდება შემოკლებით.

1) ენგელსი — „ბუნების დიალექტიკა", გვ. 50.

2) მარქსი. „კაპიტალი", ტ. I გვ. 144 ქართ. გამოც.

3) ლენინი, ტ. IV, გვ. 212 ქართ. გამოცემა.

4) სტალინი, „ლენინიზმის საკითხები", 11 გამოც. გვ. 691.

5) მარქსი, „დაქირავებული შრომა და კაპიტალი", გვ. 31.

6) სტალინი, „ლენინიზმის საკითხები", 11 გამოც. გვ. 629.

7) ლენინი, ტ. XXII, ქართ. გამოც. გვერდი 172.

8) „ლენინიზმის საკითხები", გვ. 522

9) სტალინი, „მოხსენება კონსტიტუციის პროექტის შესახებ", გვ. 27.

10) ლენინი—ტომი XXII, ქართ. გამოცემა, გვ. 179.

მეცნიერების, სამხედრო ცოდნისა და გამომგონებლობის დარგისათვის გამოყოფილ სტალინის სახელობის პრემიების მიმკუთვნებელ კომიტეტში

სტალინის სახელობის პრემიების 1940 წელს მოსაპოვებლად ნაშრომების, ნაბეჭდი შრომებისა და გამოგონებათა წარდგენის უკანასკნელი დღე 15 ოქტომბერი იყო. მეცნიერების, სამხედრო ცოდნისა და გამომგონებლობის დარგისათვის გამოყოფილ სტალინის სახელობის პრემიების კომიტეტის სხდომას განსაკუთრებით მრავალი ხალხი დაესწრო. ნაშრომებს შუაღამემდე იღებდნენ. ნაშრომებს გზავნიდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტები, სამეცნიერო - საინჟინრო ტექნიკურ საზოგადოებათა სრულიად - საკავშირო საბჭო, სახალხო კომისარიატების ტექნიკური საბჭოები, სამხედრო აკადემიები.

16 ოქტომბერს სტალინის სახელობის პრემიების კომიტეტის სამდივნო იწყებს ყველა წარმოდგენილი ნაშრომის საბოლოო განხილვას.

ყველა ნაშრომი განიხილება მეცნიერებათა დარგების მიხედვით კომიტეტის მიერ თავის შემადგენლობიდან გამოყოფილ სექციებში, მეცნიერთა და სპეციალისტ - პრაქტიკოსთა მონაწილეობით. სექციების შემადგენლობა უკვე დამტკიცებულია. სულ არის 13 სექცია. ბიოლოგიურ მეცნიერებათა სექციას მეთაურობს აკად. ვ. ლ. კომაროვი, ქიმიურ მეცნიერებათა სექციას — აკად. ა. ნ. ბახი, სამედიცინო და ფარმაცევტულ მეცნიერებათა სექციას — აკად. ა. ი. აბრიკოსოვი, სასოფლო - სამეურნეო და სავეტერინარო მეცნიერებათა სექციას — აკად. ტ. დ. ლისენკო, ფიზიკურ - მათემატიკურ მეცნიერებათა სექციას — აკად. ო. ი. შმიდტი, გეოლოგიურ - მინერალოგიურ და გეოგრაფიულ მეცნიერებათა სექციას — აკად. ვ. ა. ობრუჩევი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა სექციას — აკად. მ. ბ. მიტინი, ეკონომიურ მეცნიერებათა სექციას— აკად. ე. ს. ვარგა, ისტორიულ მეცნიერებათა სექციას — აკად. ემ. იაროსლავსკი.

სექციები მუშაობას დაიწყებენ 19 ოქტომბერს. ამ დღეს შესდგება სამხედრო და სამხედრო-საზღვაო მეცნიერებათა სექციის პირველი სხდომა აკად. ა. ნ. კრილოვის თავმჯდომარეობით. ტექნიკურ მეცნიერებათა სექციის პირველი სხდომა, აკად. ა. ა. სკოჩინსკის თავმჯდომარეობით, მოწვეულ იქნება 21 ოქტომბერს, სამედიცინო და ფარმაცევტულ მეცნიერებათა სექციის სხდომა აკად. ა. ი. აბრიკოსოვის თავმჯდომარეობით — 22 ოქტომბერს.

სექციების მუშაობის შედეგები არაუგვიანეს 1940 წლის 15 ნოემბრისა მოხსენდება სტალინის სახელობის პრემიების კომიტეტის პლენარულ სხდომას. ყველაზე უფრო შესანიშნავი ნაშრომები კომიტეტის დასკვნითურთ გადაეცემა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს სტალინის სახელობის პრემიების მისაკუთვნებლად. (საკდესი).

სტალინის სახელობის პრემიების მოპოვება ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში

15 ოქტომბერს გავიდა ვადა, რომელიც დაწესებულია ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში 1940 წელს სტალინის სახელობის პრემიების მოპოვების კანდიდატთა წამოსაყენებლად. 15 ოქტომბრის 20 საათისათვის ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში სტალინის სახელობის პრემიების კომიტეტს ჰქონდა ცნობები დაახლოებით 50 კანდიდატის წამოყენების შესახებ.

თეატრის დარგში ღირსშესანიშნავი მიღწევისათვის პრემიის მოსაპოვებლად წამოყენებულია სამი კანდიდატი: სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო — სსრ კავშირის გორკის სახელობის მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის სცენაზე ჩეხოვის პიესა „სამი დის" დადგმისათვის, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ა. ოსტუჟევი —სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის სცენაზე გუცკოვის ტრაგედია „ურიელ აკოსტაში" აკოსტას სახის შექმნისათვის, და რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. ს. ულანოვა — ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის ს. მ. კიროვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე პროკოფიევის ბალეტ „რომეო და ჯულიეტაში" ჯულიეტას პარტიის შესრულებისათვის. კინოს ხაზით პრემიის მოპოვების კანდიდატად წარმოყენებულია რეჟისორი ფ. მ. ერმლერი — ლენფილმის სტუდიაში დადგმული ფილმის „დიდი მოქალაქის" მეორე სერიის შექმნისათვის.

მუსიკის დარგში სტალინის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წამოყენებულ კანდიდატთა შორის არიან უდიდეს ნაწარმოებთა ავტორები: შაპორინი — სიმფონია-კანტანტისათვის „კულიკოვოს ველზე", გლიერი — ოპერისათვის „ლეილა და მეჯნუნი", პროკოფიევი — ოპერისათვის „სიმონ კოტკო", მიასკოვსკი — მე-20 და მე-21 სიმფონიისათვის. მარიან კოვალი — ორატორიისათვის — „ემელიანე პუგაჩოვი", ფროლოვი — პირველი ბურიატ - მონღოლური ოპერისათვის „ენხე-ბულატ - ბატორი", ხაჩატურიანი — ორკესტრის თანხლებით ვიოლინოთი შესასრულებელი კონცერტისათვის, ანდრიაშვილი ოპერისათვის „კაკო ყაჩაღი", კრუჩინინი — მეორე წითელარმიული სიუიტისათვის.

სტალინის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატთა მნიშვნელოვანი რაოდენობა წამოაყენეს სსრკ საბჭოთა მხატვრების კავშირის კომიტეტმა და საბჭოთა მხატვრების ადგილობრივმა კავშირებმა. ფერწერის ხაზით პრემიის მოსაპოვებლად წამოყენებული არიან შემდეგი კანდიდატები: იოგანსონი — სურათისათვის „ლენინი და სტალინი სმოლნში ოქტომბრის თვეებში", შმარინოვი — ტოლსტოის რომანის „პეტრე I" ილუსტრაციებისათვის, სამოხვალოვი — სურათისათვის „ლენინი და სტალინი საბჭოების II ყრილობაზე", ზაიცევი—სურათისათვის „წითელი არმიის შესვლა მინსკში", პაშკევიჩი— სურათისათვის „ბელორუსი პარტიზანები ამხანაგ სტალინთან დასავლეთის ფრონტის რევოლუციურ - სამხედრო საბჭოში".

ქანდაკების ხაზით პრემიის მოსაპოვებლად წამოყენებული არიან შემდეგი კანდიდატები: შადრი — ქანდაკებისათვის „წითელარმიელი", კეპინოვი — ქანდაკებისათვის „სტალინი", მანიზერი — ქანდაკებისათვის „ლენინი" (ძეგლი ულიანოვსკში), სიმონოვი — ქანდაკება „საბჭოების ხელისუფლებისათვის", აზგური — ქანდაკებისათვის „ი. ბ. სტალინი", გლებოვი — ქანდაკებისათვის „ბელორუსიის განთავისუფლება თეთრი პოლონელებისაგან", სტრახოვი — ქანდაკებისათვის „პუშკინი", კიკინი — ქანდაკებისათვის „ჩკალოვი".

არქიტექტურის ხაზით პრემიის მოსაპოვებლად წამოყენებული არიან ალაბიანი და სიმბირცევი— წითელი არმიის მოსკოვის ცენტრალური თეატრის ახალი შენობის პროექტის ავტორები, ჩეჩულინი და ორლოვი — ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის საკონცერტო დარბაზის პროექტის ავტორები და პროფ. ჩერნიხოვი — ავტორი ნაშრომისა „კომუნიზმის სასახლეები".

სამაოდ ბევრი კანდიდატია წამოყენებული ლიტერატურის ხაზით პრემიების მოსაპოვებლად. პროზაში პრემიის მოსაპოვებლად წამოყენებულ კანდიდატთა შორის არიან: შოლოხოვი — რომანისათვის „წყნარი დონი", ვანდა ვასილევსკაია — რომანისათვის „ალი ჭაობებში", სერგეევ-ცენსკი — ისტორიული ეპოპეისათვის „სევასტოპოლის ბრძოლა" და სხვ. პოეზიის ხაზით პრემიის მოსაპოვებლად წამოყენებულ კანდიდატებს შორის არიან: ასეევი — პოემისათვის „მაიაკოვსკი იწყება", გიორგი ლეონიძე — პოემისათვის „ბელადის ბავშვობა", პოეტები შიპაჩევი, მაქსიმე რილსკი და ანდრია მალიშკო. დრამატურგიის ხაზით პრემიის მოპოვების კანდიდატად წამოყენებულია კორნეიჩუკი — პიესისათვის „უკრაინის ველებში". კრიტიკის დარგში ნაშრომისათვის პრემიის მოსაპოვებლად წამოყენებული არიან კრიტიკოსები: იუზოვსკი — ავტორი ნაშრომისა „გორკის დრამატურგია", პროფ. ამირანაშვილი — ავტორი ნაშრომისა „ქართული ხელოვნების ისტორია", დოცენტი რიტმან-ფეტისოვი — ავტორი ნაშრომისა ყაზახეთის სახალხო პოეტ ჯამბულის შემოქმედების შესახებ.

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში სტალინის სახელობის პრემიების კომიტეტში შემოსულ ყველა ნაწარმოებს ამჟამად იხილავენ თეატრისა და კინოს, მუსიკის, სახვითი ხელოვნების, არქიტექტურისა და ლიტერატურის სექციებში. სტალინის სახელობის პრემიების მოპოვებისათვის წამოყენებულ კანდიდატთა განსახილველად კომიტეტის პლენარული სხდომის მოწვევა განზრახულია ნოემბრის პირველ დეკადაში. (საკდესი).

თესვის გეგმა შესრულებულია

ასპინძა, ასპინძის რაიონმა 15 ოქტომბრისათვის ვადაზე ათი დღით ადრე გადაჭარბებით შესრულა საშემოდგომო თესვის გეგმა. გეგმით გათვალისწინებულ 3200 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 3230 ჰექტარი.

თესვა გრძელდება.

ი. ძებისაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ასპინძის რაიკომის მდივანი.

სამ დღეში გამოუშვეს 383.800 ქილა კონსერვი

გორი, (საკ. კორ.). გორის საკონსერვო ქარხანაში ყოველდღიურად ძლიერდება წინაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. ქარხნის სტახანოველები დ. ასკილაშვილი, ე. მუკნიაშვილი, მ. მეჩიტაშვილი დღიურ დავალებას 120-150 პროცენტით ასრულებენ.

15 ოქტომბერს სამურაბე საამქრომ (გამგე ხუბულური) 183 ათასი პირობითი ქილა კონსერვი გამოუშვა. 12 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრამდე ქარხანამ 383.800 ქილა კონსერვი დაამზადა.

უკრაინისა და საქართველოს რესპუბლიკების მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება

ჟიტომირელებთან შეჯიბრების შემდეგ

სტალინირი, (საკ. კორ.) სამხრეთ-ოსეთის მშრომელებმა უკანასკნელ წლებში საგზაო მშენებლობაში უდიდესი მიღწევები მოიპოვეს. ეს მიღწევები კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც უკრაინისა და საქართველოს მოძმე რესპუბლიკებს შორის სოციალისტური შეჯიბრება გაიშალა. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საგზაო მშენებლობის მუშაკები სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული უკრაინის სსრ ჟიტომირის ოლქის საგზაო მშენებლობის მუშაკებთან.

უკანასკნელი წლის განმავლობაში მიღწეული შედეგებით თამამათ შეუძლიათ იამაყონ სამხრეთ-ოსეთის მშრომელებმა: 1939 წ. საგზაო მშენებლობის გეგმა შესრულდა 100,3 პროცენტით, მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრისათვის გზების მშენებლობაში შრომითი მონაწილეობის წლიური გეგმა შესრულებულია 129 პროცენტით, ფულადი სახსრების ათვისების გეგმა — 90 პროცენტით. ჟიტომირელებთან სოცშეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ გაყვანილ იქნა სტალინირ-ლენინგორის 75 კილომეტრის სიგრძის გზა, მაღალმთიანი გუფთა - ჩასავალის გზა 40 კილომეტრზე, აშენდა და შეკეთდა მრავალი სასოფლო გზები.

სამხრეთ-ოსეთის მშრომელებმა საქართველოში ყველაზე უწინ გამოიყენეს დიდი ფერგანის არხის მშენებელთა ძვირფასი გამოცდილება და მაქსიმალურად მოკლე დროში შესძლეს ყველა ამ გზების მშენებლობის დამთავრება. ამავე მეთოდით გაყვანილ იქნა გორი-სტალინირის რკინიგზა.

საგზაო მშენებლობაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ჯავის რაიონის ქემულთის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობამ „ხალიბ დონმა", სოფელ ერწოს კოლმეურნეობა „ერწომ", სოფელ კიროვის კოლმეურნეობამ „ქასაქ ჯინმა", სოფელ სათიყრის კოლმეურნეობა „ნოე კავმა" და სხვებმა, რომლებმაც გუფთა-ჩასავალის გზის მშენებლობაზე მიცემული გეგმა 500-600 პროცენტით შეასრულეს. კოლმეურნეები ძიქო გაგიევი, გუბა გაგიევი, 90 წლის მოხუცი დიშო ნართიკოევი, რამსე ჯუსოევი საუკეთესო სტახანოველები არიან.

ჟიტომირისა და სამხრეთ-ოსეთის ოლქების კოლმეურნეები ერთმანეთთან სისტემატურ მიმოწერას აწარმოებენ, უზიარებენ მიღწევებსა და გამოცდილებებს. ერთერთ წერილში ჟიტომირელები სწერენ, რომ მათ შექმნეს ფერგანული მუშაობის კომიტეტი.

— ჩვენ დიდად მოხარული ვართ, — ნათქვამია წერილში, — თქვენი მიღწევებით. უნდა ვაღიაროთ, რომ საგზაო მშენებლობაში მოწინავეები ხართ და ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ თქვენგან.

ამჟამად სამხრეთ-ოსეთის კოლმეურნეები აჯამებენ საგზაო მშენებლობაში ჟიტომირელებთან სოცშეჯიბრებით მიღწეულ წარმატებებს და ემზადებიან უკრაინაში დელეგაციის გასაგზავნად.

რ. ფალავანდიშვილი

გამოცდილების ურთიერთ გაზიარებით — ახალი გამარჯვებებისაკენ

მეორე წელია, რაც საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მუშაკები ეჯიბრებიან უკრაინის მსუბუქი მრეწველობის მუშაკებს. ეს შეჯიბრება, რომელიც განმტკიცებულია ხალხთა ურყევი სტალინური მეგობრობით, დაეხმარა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მუშაკებს უკეთესად გამოეყენებინათ არსებული სამრეწველო რეზერვები, ახალ საფეხურზე აეყვანათ სტახანოვური მოძრაობა, გაეზარდათ შრომის ნაყოფიერება, გაეუმჯობესებინათ პროდუქციის ხარისხი, შეემცირებინათ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება.

თუ 1939 წელს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში სტახანოველთაგან პროფესიათა 820 შემთავსებელი ითვლებოდა, მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის ეს რიცხვი 1.180-მდე გაიზარდა. გაიზარდა გამომუშავებაც, რაც უცვლელ ფასებზე გადატანით მიმდინარე წლის განვლილ 9 თვეში შეადგენს 8.688 მანეთს თვითეულ მუშაზე, ნაცვლად გასული წლის 8.377 მანეთისა.

გაწეულია დიდი მუშაობა ხარისხის გასაუმჯობესებლად. გარდაქმნილია ცალკეული აგრეგატების მუშაობა სამკერვალო ფაბრიკებში, გაძლიერებულია კონტროლი პროდუქციის ხარისხზე ცალკეული ოპერაციების წარმოების დროს, პირველი ხარისხის ფეხსაცმლის გამოშვების გადიდების ხარჯზე შემცირდა მე-2 და მე-3 ხარისხის ფეხსაცმელის გამოშვება. განვლილ 9 თვეში ფაბრიკებმა პირველი ხარისხის ფეხსაცმლის გამოშვების გეგმა 1,8 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს.

უკრაინის სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან დადებული სოცშეჯიბრების ხელშეკრულებით ჩვენ ვიკისრეთ ვალდებულება 0,2 პროცენტით შეგვემცირებინა პროდუქციის თვითღირებულება დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით. ეს პირობა გადაჭარბებით არის შესრულებული.

მოძმე უკრაინასთან შეჯიბრება დაეხმარა ბევრ ჩვენ საწარმოს გამოსულიყვნენ მოწინავეთა რიგებში. მაგალითად, ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკამ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მეორე ადგილი დაიკავა სსრ კავშირის ფეხსაცმლის ფაბრიკებს შორის და ფაბრიკის კოლექტივმა ჯილდოდ მიიღო 15 ათასი მანეთი. ფაბრიკამ გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 12 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

თავის საწარმოო დავალებებს სისტემატური გადაჭარბებით ასრულებენ სამკერვალო ფაბრიკა № 1 და მრავალი სხვა საწარმო.

უკრაინის მშრომელების მიერ ოქტომბრის დღესასწაულზე საქართველოს მშრომელების მიპატიჟებამ უდიდესი შრომითი აღმავლობა გამოიწვია თბილისის № 1 ტყავის ქარხანაში, რომელიც ეჯიბრება ვასილკოვსკის (უკრაინა) № 4 ტყავის ქარხანას.

საამქრო კრებებზე შეჯამებულ იქნა შეჯიბრების ცხრა თვის შედეგები, ქარხნის კოლექტივმა იკისრა დამატებითი ვალდებულებები, — შეასრულოს წლიური გეგმა სტალინური კონსტიტუციის დღისათვის — 5 დეკემბრისათვის, ხოლო წლის ბოლომდე გეგმის ზევით გამოუშვას 140 ტონა საძირე ტყავი.

ვასილკოველებთან შეჯიბრება დაეხმარა № 1 ტყავის ქარხნის კოლექტივს გამოცდილების ურთიერთგაზიარებით გაეუმჯობესებინა წარმოების პროცესები. როფებიდან ტყავების ამოღებაზე წინათ ტყავის პირველ ქარხანაში 6 კაცი მუშაობდა, ხოლო ვასილკოველებთან მაგალითის მიხედვით მექანიზაციის დანერგვის შემდეგ ამავე სამუშაოს ახლა 2 მუშა ასრულებს.

შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის XVIII პარტყრილობის მიერ დასმულ ამოცანათა დაჩქარებით შესრულებისათვის ბრძოლაში მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ფაბრიკებსა და ქარხნებში გაიზარდნენ ახალ-ახალი სტახანოველები და წარმოების მოწინავენი, რომელთა მუშაობა აღნიშნულია საბჭოთა მთავრობის მაღალი ჯილდოებით.

ასე, მაგალითად, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის ფეხსაცმლის საამქროს ოსტატი ამხ. ბედიაშვილი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, თბილისის № 1 ტყავის ქარხნის ექსტრაქტების მხარშველი ამხ. ტატუაშვილი, რომელიც წარმატებით ათავსებს ორ პროფესიას და რომელმაც შეიტანა მთელი რიგი ძვირფასი წინადადებანი — შრომის წითელი დროშის ორდენით, ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის მეუთოე ამხ. გუბელიძე, რომელიც სოციალისტური შრომის მაღალ ნიმუშებს იძლევა, — „საპატიო ნიშნის" ორდენით, თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის ტექნიკური დირექტორი, მსუბუქი მრეწველობის წარჩინებული მუშა-ქალი ამხ. სარქისიანი, თავდადებული მუშაობისა და წარმოების სანიმუშოდ დაყენებისათვის — „საპატიო ნიშნის" ორდენით.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა საბრძოლო ამოცანაა მოწინავეთა გამოცდილების ყოველმხრივი პოპულარიზაციით, უკრაინასთან სოცშეჯიბრების შემდგომი გაშლით უმოკლეს დროში აღმოფხვრან ჯერ კიდევ არსებული ზოგიერთი ჩამორჩენა საწარმოო გეგმების შესრულებაში. საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში არ უნდა იყოს არცერთი ჩამორჩენილი საწარმო. ამას ჩვენ მივაღწევთ შრომის სწორი ორგანიზაციით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა მტკიცედ და განუხრელად განხორციელებით, საწარმოო გამოცდილების შემდგომი გაზიარებით.

გ. ჯაბუა

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი.

შამპანურის ქარხანა საჩხერეში

საჩხერე, („კომუნისტის" კორ.). საჩხერეში ამუშავდა შამპანურის ქარხანა, რომელიც ყურძენს იღებს საჩხერის რაიონის 22 კოლმეურნეობიდან, სადაც გავრცელებულია „ციცქას", „ქვიშხურის", „ძველშავის", „საფერავის" და სხვა ჯიშის ვენახები.

კოლმეურნეობები წელს ქარხანას ჩააბარებენ 1000 ტონა ყურძენს. ყურძნის დამზადება დაიწყო.

მომავალი წლისათვის ქარხნის მუშაობა კიდევ უფრო გაფართოვდება, ამჟამად დაკვრითი წესით სწარმოებს ქარხნისათვის ახალი ორსართულიანი შენობის აგება.

კოლმეურნეობა „შრომა" (მახარაძის რაიონი). სურათზე: ზაპოროჟიეს ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის ორდენოსანი თავმჯდომარე თ. კლიმენკო ათვალიერებს ელენე ჩხაიძის საკარმიდამო ნაკვეთის მანდარინის ხეებს, რომელნიც 1500-1600 ცალ ნაყოფს იძლევიან. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ტაქტიკური სწავლების გარჩევა № შენაერთში

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის გენერალ-ლეიტენანტის ამხ. ეფრემოვის გამოსვლა

11 ოქტომბერს ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა ამხ. ეფრემოვმა გაარჩია № შენაერთის ტაქტიკური სწავლება უფროს, საშუალო, უმცროს მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობისათვის.

სარდალმა ახსნა თავდაცვის სახალხო კომისრის მითითებით ჩატარებული ტაქტიკური სწავლების მიზანი, შემდეგ იგი დაწვრილებით შეჩერდა მხარეთა მოქმედებაზე.

მებრძოლებმა და მეთაურებმა მტკიცედ შეითვისეს სახალხო კომისრის მითითება იმის შესახებ, რომ სწავლებასთან დაკავშირებული სიძნელე და დაბრკოლებანი უხვად იქნება ანაზღაურებული ბრძოლაში. ამიტომ, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, ისინი დიდი დაძაბულობით მუშაობდნენ. თავდაცვის ხაზზე მყოფმა ბატალიონმა ამხ. პოპლავსკის მეთაურობით კარგად ჩაატარა თავდაცვითი მუშაობა, ზუსტად მოქმედებდა თავდაცვისათვის. წარმატებით ჩაატარა ლაშქრობა შემტევმა მხარემ. წინაველის ზოლში ბრძოლისა და წინა ხაზის შეტევის დროს მებრძოლებმა გვიჩვენეს გამოწრთობა და ამტანიანობა.

წინაველისათვის „ბრძოლის" გარჩევისას ამხ. ეფრემოვმა აღნიშნა ლეიტენანტების ამხ. ხომუტინიკოვის, სტაროდუბოვის, უმცროსი ლეიტენანტების ამხ. კუჩკინის, ბოლერინის, ათმეთაურების ამხ. სისოევის, კოვალევის, ბატალოვისა და სხვ. სანიმუშო მუშაობა. მათი ქვედანაყოფები დაზღვეული იყვნენ ყოველგვარი პირობითობისაგან, ხალისით ცდილობდნენ აეთვისებინათ სამხედრო ხელოვნება საბრძოლო მდგომარეობასთან დაახლოვებულ პირობებში. ამიტომ მათ ბრწყინვალედ შეასრულეს ამოცანა.

სარდალი დაწვრილებით შეჩერდა სწავლების საპასუხისმგებლო პერიოდზე — თავდაცვის წინამხარის შეტევისათვის მზადებაზე, ჯარის სხვადასხვაგვარეობის ურთიერთქმედობაზე. მან აღნიშნა, რომ არტილერიამ გაამართლა მასზე დაკისრებული ამოცანები. კარგად მოქმედებდა მარჯვენა ფრთაზე შეტევაზე გადასული ბატალიონი. შეტევის მიმართულება სწორი იყო, საბრძოლო წესრიგი დაცული.

სარდალმა დიდი ყურადღება დაუთმო სწავლების დროს პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას.

პოლიტიკურმა, პარტიულმა და კომკავშირულმა მუშაკებმა ბევრი გააკეთეს იმისათვის, რომ მობილიზაცია ეყოთ მებრძოლებისათვის ამოცანების საუკეთესოდ შესრულებისათვის. მათ მოაწყვეს პირადი შემადგენლობის სოციალისტური შეჯიბრება, ახსნეს და განმარტეს მდგომარეობა, ჩაატარეს საუბრები სწავლების თვითეულ დარგზე. ყოველივე ამან დიდი დახმარება გაუწია მებრძოლებს სწავლების ამოცანათა გადაჭრაში.

კარგად მუშაობდნენ მეთაურთა მოადგილეები პოლიტნაწილში ამხ. კრასნოვი, მაკაროვი, ივანენკო, დიუდინი და სხვ. იმ ასეულის მებრძოლებმა, სადაც ისინი მუშაობენ, კარგად იცოდნენ თავიანთი ამოცანები და ბრწყინვალედ ასრულებდნენ მათ.

პარტიულ - პოლიტიკურმა მუშაკებმა გაითვალისწინეს თავდაცვის სახალხო კომისრის მოთხოვნა, იშვიათად იქექებოდნენ ქაღალდებში და უფრო ახლოს, უფრო კონკრეტულად მიუდგნენ მასებში მუშაობას.

დასასრულ სარდალმა დაავალა შენაერთის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობას აღმოფხვრან ტაქტიკური სწავლების დროს გამოვლინებული ნაკლოვანებანი და მოუწოდა მათ დაუღალავად იმუშაონ შენაერთის საბრძოლო მომზადების გაუმჯობესებისათვის.

იმავე დღეს, სწავლების გარჩევის შემდეგ, გენერალ-ლეიტენანტმა ამხ. ეფრემოვმა წითელი არმიის პოლიტიკური პროპაგანდის მთავარ სამმართველოს დირექტივის საფუძველზე პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის გარდაქმნის შესახებ შინაარსიანი მოხსენება გაუკეთა ნაწილებისა და ქვედანაყოფების მეთაურებს, მათ მოადგილეებს პოლიტნაწილში, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ბიუროების მდივნებს.

უფროსი პოლიტხელი
ს. გორისკინი

დაიხურა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

15 ოქტომბერს უკანასკნელად ფართოდ გაიღო სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო ამ წლის გამოფენის კარები. მთავარ პავილიონზე ალისფერი დროშები ფრიალებენ. უზარმაზარი ტრიბუნა, საიდანაც ხუთი თვის წინათ გამოცხადდა 1940 წლის სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნა, წითელი ტილოებითა და ყვავილებით არის მორთული.

დღის 2 საათისათვის კოლმეურნეობათა მოედანზე თავი მოიყარეს გამოფენის დაახლოებით 15 ათასმა ექსპონენტმა, ექსკურსანტმა, მნახველმა და მოსკოვის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ტრიბუნაზე არიან რუსეთის სფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ხოხლოვი, სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ბენედიქტოვი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო - სამეურნეო განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. გრიცენკო, სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ჩუენკოვი, საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნები ამხ. პოპოვი და გრაკინი, სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის დირექტორი აკადემიკოსი ციცინი, მთავარი საგამოფენო კომიტეტის წევრები—აკადემიკოსები იაკუშკინი, ლისკუნი და სხვები.

1940 წლის სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის დახურვისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა აკადემიკოსმა ნ. ვ. ციცინმა. მან სიტყვა მისცა სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარს—მთავარი საგამოფენო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ი. ა. ბენედიქტოვს.

— დღეს, — ამბობს ამხ. ბენედიქტოვი, — ხუთი თვის მუშაობის შემდეგ ჩვენ 1941 წლამდე ვხურავთ სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას. წელს გამოფენაზე, შარშანდელთან შედარებით, უფრო ფართოდ და ღრმად იყო ნაჩვენები სოციალისტური სასოფლო მეურნეობის მიღწევები. გამოფენის მონაწილეთა რაოდენობა, გასულ წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ამხ. ბენედიქტოვი თავის სიტყვაში აჯამებს გამოფენის მუშაობის შედეგებს. საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ მოლოტოვის მიერ გამოთქმულმა სურვილმა, რომ გამოფენის მონაწილეობის უფლებისათვის სოციალისტური შეჯიბრება რაც შეიძლება უფრო ფართოდ გაშლილიყო, დიდი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის კოლმეურნე გლეხობაში და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთა შორის. გამოფენაში მონაწილეობდა, ზაპოროჟიეს ოლქის ყველა კოლმეურნეობის 45 პროცენტი, კრასნოდარის მხარის 36 პროცენტი, ორჯონიკიძის მხარის კოლმეურნეობათა 34 პროცენტი. ამ წლის გამოფენის მონაწილე იყო კრასნოდარის ყველა მანქანა-ტრაქტორთა სადგურის 23 პროცენტი.

— სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ, — ამბობს ამხ. ბენედიქტოვი,—ერთხელ კიდევ გვიჩვენა, თუ რა უზარმაზარი, ულევი რეზერვები გვაქვს სოფლის მეურნეობის დარგში.

ამხ. ბენედიქტოვს მოჰყავს ზაპოროჟიეს ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის ორდენოსანი კოლმეურნეობის მუშაობის მაგალითი. ეს კოლმეურნეობა გამოფენაში ორჯერ მონაწილეობს. იგი წლითი-წლობით ადიდებს მოსავლიანობას, ყოველმხრივ ავითარებს თავისი წარმოების ყველა დარგს, თავის დროზე და მთლიანად ასრულებს ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე, უზრუნველჰყოფს კოლმეურნეთა შეძლებულობის განუწყვეტელ ზრდას.

ამხ. ბენედიქტოვმა მოუწოდა წარმატებით დაამთავრონ ამ წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები და რწმენა გამოსთქვა, რომ კოლმეურნე გლეხობა, შეასრულებს რა პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს სოფლის მეურნეობის შესახებ, კიდევ უფრო დიდი მიღწევებით შეხვდება 1941 წლის სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას.

გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლებას მოიპოვებენ კოლმეურნეობათა ახალი ათასები და სოციალისტური მიწათმოქმედების ასეული ათასობით მოწინავენი.

ამხ. ბენედიქტოვი 1940 წლის სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას დახურულად აცხადებს.

14 საათსა და 30 წუთზე აკადემიკოსმა ციცინმა „ინტერნაციონალის" გუგუნში გამოფენის ბაირაღი ჩამოუშვა. ამავე დროს ბაირაღები ყველა პავილიონზედაც ჩამოუშვეს.

სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა დაიხურა მომავალ წლამდე (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 16 ოქტომბერი. უმაღლესი სარდლობა იუწყება, რომ გუშინ ინგლისის თვითმფრინავებმა კვლავ დააყარეს ყუმბარა შუა და დასავლეთ გერმანიის საცხოვრებელ სახლებსა და გლეხთა ეზოებს. სამოქალაქო მოსახლეობაში არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

გერმანიის ავიაციის იერიშები მიმართული იყო სამხრეთ და შუა ინგლისის მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ, პირველ რიგში თვითონ ლონდონის წინააღმდეგ. გერმანიის ავიაციამ მრავალი მძიმე ყალიბის ყუმბარა დააყარა სამხედრო ქარხნებს, სატრანსპორტო ნაგებობებს, მომარაგების ბაზებს და აგრეთვე სანავსადგურო ნაგებობებს. ბევრგან ტემზის ხეულის ორივე მხარეზე და ვიქტორიის დოკების რაიონში ძლიერი ხანძარი მოსჩანდა ლამანშის სანაპიროდან.

გუშინ მტერმა ბრძოლაში დაჰკარგა 38 ავიაგამანადგურებელი. გერმანიის ავიაციამ—7 ავიაგამანადგურებელი.

ბერლინი, 16 ოქტომბერი (საკდესი). საინფორმაციო ბიურო იუწყება: „იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისელებმა აქამდე ხელი არ აიღეს გერმანიის სამოქალაქო მოსახლეობისა და არასამხედრო ობიექტების ბომბარდირებაზე, გერმანიის ავიაციამ 15 ოქტომბერს დღისით და ღამით ლონდონის სამხედრო და სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვან ობიექტებზე თავდასხმის დროს უფრო დიდი ძალები გამოიყენა, რომლებმაც უდიდესი ზარალი მიაყენეს ქალაქს".

ამავე დროს საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ 15 ოქტომბერს ღამით ლონდონზე ჩატარებულ იერიშში მონაწილეობდა გერმანიის ათასამდე თვითმფრინავი, რომლებმაც 1.000 ტონაზე მეტი ყუმბარა ჩამოჰყარეს. ლონდონში ქაოსია. ბევრგან ხანძარი გაჩნდა. ქალაქის მომარაგება დიდი ხნით პარალიზებულია. გერმანიის თითქმის ყველა თვითმფრინავი ბაზაში დაბრუნდა.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 16 ოქტომბერი. როგორც ავიაციის სამინისტრო იუწყება, ინგლისზე გუშინდელი თავდასხმის მონაწილე გერმანიის ზოგიერთმა თვითმფრინავმა მოახერხა ყუმბარა დაეშინა სამხრეთ და აღმოსავლეთ ლონდონისათვის. მაგრამ ბომბარდირებით მიყენებული ზარალი და მსხვერპლი დიდი არ არის. ინგლისის სხვა რაიონებშიც ზარალი უმნიშვნელოა. ღამით მტრის თვითმფრინავები ინგლისში მცირე ჯგუფებად ჩნდებოდნენ თითქმის ყოველ 4 წუთში, მაგრამ ჩვენი საზენიტო ბატარიები მათ ყოველთვის უკან აბრუნებდნენ. უკანასკნელი ცნობებით, გუშინ ჩამოგდებულია გერმანიის 18 თვითმფრინავი. ინგლისის ავიაციამ 15 თვითმფრინავი დაჰკარგა. ამ თვითმფრინავების ეკიპაჟთა 9 მფრინავი გადარჩა.

გერმანიაში 14 ოქტომბერს ღამით ბომბარდირების ერთერთ მთავარ ობიექტს წარმოადგენდა სინთეზური ნავთის ქარხანა პელიცში (შტეტინის მახლობლად), რომლის სიმძლავრე წელიწადში ერთ მილიონ ტონა ბენზინს აღემატება. მნიშვნელოვნად დაზიანებულია ქარხნის კორპუსები. ყუმბარა დაეშინეთ აგრეთვე ნავთსახდელ ქარხნებს ბელენსა და მაგდებურგში. ეს ქარხნები დიდძალ სინთეზურ და საავიაციო ბენზინს იძლევიან. ინგლისის ავიაციის სხვა შენაერთებმა იერიში მიიტანეს ემდენისა და ჰამბურგის დოკებზე, ჰანოვერისა და ლინგენის რკინიგზებზე. ყველგან ხანძარი გაჩნდა და აფეთქება მოხდა. წარმატებით დავუშინეთ ყუმბარა აგრეთვე სანავსადგურო ნაგებობათ ალტჰაარიცში, ბალტიის ზღვის სანაპიროზე და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

ლონდონი, 16 ოქტომბერი. გაზეთების ცნობებით, 14 ოქტომბერს ღამით თავდასხმის დროს გერმანიის თვითმფრინავებმა ლონდონს დააყარეს დიდძალი ახალი ყუმბარა ყველა ტიპისა, მათ შორის შენელებული მოქმედების ყუმბარებიც. გუშინ დილა-ადრიან გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ლონდონის 70 რაიონს.

„ნიუს ქრონიკლის" კორესპონდენტი რომელიც საზენიტო ბატარიას ეწვია, სწერს, რომ, არტილერისტების აზრით, გადამღობი ცეცხლის ახალი სისტემა, რომელსაც ამჟამად ამუშავებენ. ერთობ ეფექტიანი იქნება. ექსპერიმენტული სროლის დროს გერმანიის თვითმფრინავები თავს არიდებდნენ ცეცხლის რკალს რომელიც შექმნეს ლონდონის გარშემო დადგმულმა საზენიტო ბატარიებმა. გერმანიის თვითმფრინავები ამჟამად 15 ათას ფუტზე დაბლა არ ჩამოდიან. დღის თავდასხმის დროს ისინი 35 ათას ფუტ სიმაღლეზე ფრენას ამჯობინებენ. (საკდესი).

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 16 ოქტომბერი. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის" ცნობით, ლონდონზე გუშინდელი თავდასხმის დროს ჩამოყრილმა ცეცხლგამჩენმა ყუმბარებმა ბევრგან გამოიწვია ხანძარი, თუმცა იგი ყველგან მალე ჩააქრეს. ბომბარდირებამ დააზიანა გაზის მილები და წყალსადენი.

დღის თავდასხმა დაიწყო სამ თანმიმდევრობით ტალღად, ხუთ-ხუთი წუთის ინტერვალით. მტრის თვითმფრინავები 10.000 ფუტის სიმაღლეზე დაფრინავდნენ. ლონდონსა და მის გარეუბნებში დანგრეულია ქარხანა, ორი კინოთეატრი და რამდენიმე შენობა.

როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის" ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, ლონდონის უკანასკნელმა ბომბარდირებამ უდიდესი საზოგადოებრივი შენობები და საცხოვრებელი სახლები დაანგრია. ქალაქის ერთერთ რაიონში კორესპონდენტმა რამდენიმე ქუჩა ნახა და დარწმუნდა, რომ თითქმის ყველა სახლის ფანჯრის მინები ჩამტვრეულია, სახლის სახურავები ხანძარმა დააზიანა, ბევრი შენობა ნახევრად დანგრეულია. ერთი ყველაზე უკეთესი თავშესაფარი, რომლითაც ადგილობრივ ხელისუფალთ თავი მოჰქონდათ, დაინგრა იმ ყუმბარების აფეთქებით, რომლებიც თავშესაფარიდან 500 მეტრზე ეცემოდნენ.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს სიტყვით, გუშინ გერმანიის თვითმფრინავებს გზა ვერც საზენიტო არტილერიამ გადაუღობა და ვერც ჰაერგამღობმა აეროსტატებმა.

ნაშუადღევს მტრის თვითმფრინავები ლონდონის გარდა, თავს დაესხნენ ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთი ინგლისის 25 პროვინციულ რაიონს. გერმანელები ისეთსავე ტაქტიკას იყენებდნენ, როგორც 14 ოქტომბერს გამოიყენეს, როცა ისინი აღმოსავლეთიდან გამოჩნდებოდნენ, წრეს შემოივლიდნენ, და სამხრეთის მიმართულებით მიიმალებოდნენ ხოლმე. (საკდესი).

O

საომარი მოქმედება ხმელთაშუა ზღვაში

ლონდონი, 16 ოქტომბერი (საკდესი). საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ 12 ოქტომბერს ინგლისის მსუბუქმა კრეისერმა „აიაქსმა", რომელიც სიცილიის სამხრეთ - აღმოსავლეთით დაახლოებით 80 მილის მანძილზე შეხვდა იტალიის სამ საესკადრო ნაღმოსანს, ბრძოლა გაუმართა მათ და ორი საესკადრო ნაღმოსანი ჩაძირა. ამას მოჰყვა „აიაქსის" ბრძოლა იტალიის მძიმე კრეისერთან და 4 საესკადრო ნაღმოსანთან. ამ ბრძოლაში ერთი საესკადრო ნაღმოსანი დაზიანდა. დანარჩენმა იტალიის ხომალდებმა სიბნელით ისარგებლეს და თავი გაარიდეს შემდგომ ბრძოლას.

ინგლისის მძიმე კრეისერი „იორკი" „აიაქსის" საშველად გაეშურა, მაგრამ მტრის ფლოტთან შეხვედრა აღარ მომხდარა.

მტრის დაზიანებული საესკადრო ნაღმოსანი ბუქსირზე აიყვანა მეორე საესკადრო ნაღმოსანმა, მაგრამ როდესაც „აიაქსი" მიუახლოვდა, იტალიის საესკადრო ნაღმოსანმა იგი მიატოვა, კვამლი აიფარა და დიდი სიჩქარით გაემართა სიცილიისაკენ. დაზიანებულ ხომალდს ქვემეხი დავუშინეთ და ჩავძირეთ.

საომარი ოპერაციის მიმდინარეობის დროს „აიაქსმა" უმნიშვნელო ზარალი მიიღო. დაზიანებას გავლენა არ მოუხდენია კრეისერის ბრძოლის უნარიანობაზე.

ოპერაციების მონაწილე ინგლისის ხომალდებზე ამაოდ მოიტანა იერიშები მტრის ავიაციამ. ოთხი თვითმფრინავი ჩამოგდებულია და, ალბათ, კიდევ ორი თვითმფრინავი მოსპობილია. ინგლისის თვითმფრინავები მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ბაზებზე.

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ავიაციის მოქმედება

ბერლინი, 15 ოქტომბერი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, გუშინ გერმანიის თვითმფრინავებმა ლონდონში 19 ათასი კილოგრამი ყუმბარა ჩამოჰყარეს. ღამე ლონდონში ჩამოჰყარეს 147 ათასი კილოგრამი ყუმბარა. ლონდონში ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა. ინგლისის ავიაციის ზარალი ერთიორად აღემატება გერმანიის ავიაციისას. ლონდონზე გერმანიის ავიაციის გუშინდელი თავდასხმის დროს ინგლისის ავიაგამანადგურებლებს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ლონდონის ბომბარდირება

ნიუ-იორკი, 15 ოქტომბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტის ცნობით, გერმანიის თვითმფრინავებმა დღეს დილით ზედიზედ გადასერეს ინგლისის არხი ხუთ-ხუთ წუთიანი ინტერვალებით. ლონდონის რაიონს ორჯერ დაუშინეს ყუმბარა. სახლების დანგრევასთან და ჯერ კიდევ აუფეთქებელი ყუმბარების აფეთქების საფრთხესთან დაკავშირებით, დიდძალი მცხოვრები გაიყვანეს იმ რაიონებიდან, რომლებსაც ყუმბარა დაუშინეს. როგორც იუნაიტედ პრესის ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, დღეს, დილით, გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ლივერპულსა და ცენტრალური ინგლისის ქალაქებს, სადაც ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარები ჩამოჰყარეს.

ყუმბარსაფართა ნაკლებობა ინგლისში

ლონდონი, 15 ოქტომბერი (საკდესი). ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილის სტეპნის რაიონის ბინის დამქირავებლებმა გადასწყვიტეს აღარ გადაიხადონ ბინის ქირა, რათა აიძულონ ხელისუფლება დაიწყოს ღრმა ყუმბარსაფართა აგება. მცხოვრებნი ბინის ქირას არ გადაიხდიან, სანამ უზრუნველყოფილი არ იქნება ყუმბარსაფართა საკმაო რაოდენობა.

მანჩესტერის სხვადასხვა ნაწილთა დედა-ქალები დელეგაციას ჰგზავნიან ქალაქის მუნიციპალიტეტში, რათა საჰაერო თავდაცვის გაუმჯობესება მოითხოვონ.

ახალი ზელანდია ეხმარება ინგლისს

ნიუ-იორკი, 15 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთ „ბალტიმორ სენის" ცნობით, ახალმა ზელანდიამ ბრიტანეთის იმპერიის სხვა ნაწილებში გასაგზავნად შეაგროვა 50 ათასი ჯარისკაცი. იმავდროულად ათი ათასი კაცი სამხედრო საჰაერო ფლოტში შევიდა. შეიქმნა აგრეთვე შინა სამსახურის არმია.

ომის პირველი ათი თვის განმავლობაში ახალმა ზელანდიამ ინგლისში შეიტანა 10 მილიონი დაკლული საქონელი, 125 ათასი ტონა ერბო-კარაქი და სხვა საკვები პროდუქტები.

ახალი ზელანდიის ბიუჯეტი 100 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს; აქედან 40 მილიონი სამხედრო საჭიროებას ხმარდება. გარდა ამისა, ახალი ზელანდიის მთავრობამ ინგლისისაგან 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი სესხი მიიღო საექსპედიციო ძალების მოსაწყობად. 19 მილიონი გირვანქა მთავრობამ თავის ქვეყანაში შეაგროვა სესხის გავრცელებით. ამჟამად აპირებენ გადასახადების გადიდებას. იმპორტი ფაქტიურად ნებადართულია მხოლოდ ბრიტანეთის იმპერიის ქვეყნებიდან.

ეირეს მთავრობა უარჰყოფს

ლონდონი, 15 ოქტომბერი (საკდესი). დუბლინში ოფიციალურად უარჰყოფენ ცნობას, თითქოს გერმანიის წყალქვეშა ნავები საჭირო საწვავ მასალას ეირეს ნავსადგურებში იღებდნენ.

ინგლისის საავიაციო სკოლების ნაწილი კანადაში გადაჰყავთ

ნიუ-იორკი, 14 ოქტომბერი (საკდესი). კანადიენ პრესის სააგენტოს ოტაველი კორესპონდენტი გადმოგვცემს კანადის ავიაციის მინისტრ პაუერის განცხადებას იმის თაობაზე, რომ უკანასკნელი ცნობა ფრენოსნობის შემსწავლელთა კონტინგენტის 40 პროცენტით გადიდებაზე მხოლოდ მფრინავებს შეეხება. კანადიენ პრესი იუწყება, რომ ინგლისის უმაღლესი ტიპის საავიაციო სკოლების ნაწილი კანადაში გადაჰყავთ. პაუერი ბრალსა სდებს კონსერვატიული პარტიის ლიდერს ჰანსონს ინგლისის საიდუმლოთა გამომჟღავნებაში. ვინაიდან უკანასკნელმა 12 ოქტომბერს სიტყვა წარმოსთქვა ჩარლსტონში (კვებეკის პროვინცია) და განაცხადა: კანადაში ფრენოსნობის შესასწავლად ინგლისიდან 10 ათასი კაცი გამოიგზავნაო. ჰანსონმა, თავის მხრივ, გააკრიტიკა პრემიერი კინგი იმისათვის, რომ იგი წინათ უარს ეუბნებოდა ინგლისს, რომ კანადაში მფრინავთა სწავლება მოეწყო.

ომი და ინგლისის მშრომელთა მდგომარეობა

ლონდონი, 14 ოქტომბერი (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ინგლისის მთავრობამ შეიმუშავა საომარი მოქმედებით მიყენებული დაშავებულობისა და ზარალის კომპენსაციის ანაზღაურების წესის სქემა. მაგრამ მთავრობის სქემაში არ არის გათვალისწინებული კომპენსაცია დიასახლისების, ბავშვების, სტუდენტების, მოზარდ მოწაფეთა და პენსიონერთათვის, რომელთაც შეუძლიათ მცირე დახმარება მიიღონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსაკუთრებული გარემოება იქნება. გარდა ამისა, მუშები, რომელნიც რაიმე დახმარებას იღებენ, ან ის უმუშევარნი, რომელთაც დახმარება ეძლევათ, ვერ შესძლებენ კომპენსაციის მიღებას დაშავებულობისათვის. გასაცემი კომპენსაციის რაოდენობა დამოკიდებულია დაზარალებულთა სქესსა და ასაკზე. მაგალითად, მამაკაცებს გაცილებით მეტი ეძლევათ, ვიდრე ქალებს. ბავშვებს დახმარება არ ეძლევათ. აგრეთვე შრომის უუნარდაკარგულ ბავშვებს არა აქვთ კომპენსაციის მიღების უფლება. გაცემული დახმარებიდან იკავებენ საშემოსავლო გადასახადსა და სხვა გადასახდელს. მეწარმენი განთავისუფლებული არიან დაშავებული მუშებისთვის რაიმე დახმარების მისაცემი ყოველი ხარჯისაგან. მთელ ხარჯს ამ შემთხვევებში სახელმწიფო კისრულობს. მაგრამ მუშები, ნაცვლად 35 შილინგისა, რასაც ისინი კვირაში იღებენ ჩვეულებრივი სამრეწველო ტრავმატიზმის შემთხვევაში, მხოლოდ 18 შილინგს მიიღებენ კვირაში.

უარჰყოფენ ცნობას ინგლის-არგენტინის შეთანხმების შესახებ

ლონდონი, 15 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლონდონის კარგად ინფორმირებული წრეები უარჰყოფენ ბუენოს აირესიდან გადმოცემულ ცნობას იმის თაობაზე, რომ ინგლისმა შეთანხმება დასდო არგენტინაში საკვები პროდუქტების შესყიდვის შესახებ. იუწყებიან, რომ ორივე ქვეყნის წარმომადგენელთა შორის მოლაპარაკება გრძელდება და ნორმალურად მიმდინარეობს.

სათადარიგოთა გაწვევა საბერძნეთში

ათენი, 15 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთები იუწყებიან კავშირგაბმულობის ჯარის სათადარიგოთა გაწვევის შესახებ. მთელ რიგ პუნქტებში იწვევენ 1936 წლის გაწვევის რეზერვისტებს.

ავტომობილთა ახალი მოდელების გამოფენა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 15 ოქტომბერი (საკდესი). 12 ოქტომბერს ნიუ-იორკის „გრანდ სენტრალ პალასში" გაიხსნა მე-41 საავტომობილო გამოფენა. თვრამეტ ფირმას გამოფენილი აქვს ორასი მსუბუქი მანქანის მოდელი და რვა ტიპის საბარგო მანქანა. გამოფენაზე არა სჩანს დიდი ახალი გამოგონებანი.

როგორც აღნიშნავენ, სამხედრო მრეწველობამ, რომელსაც წარმოებული ჩარხების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდება, აიძულა ავტომობილის ფირმები თავი შეეკავებინათ კონსტრუქციათა ფართო გადასინჯვისაგან, რაც საწარმოთა გადაკეთებას მოითხოვს. ახალი გამოგონება უმთავრესად გარეთა გაფორმებას შეეხება.

მანქანების ცალკეულ მოდელებს ჰიდრავლური გადაცემის სხვადასხვა სისტემა აქვთ. ზოგიერთ საავტომობილო ფირმას შემოუღია გაუმჯობესებული კარბიურატორები, რომლებიც ამცირებენ სათბობის ხარჯს. მრავალ მოდელს გაკეთებული აქვს პნევმატური კარი, გადაცემის სამართავი ბერკეტი ჩვეულებრივად კომბინირებულია საჭის მართვასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტომობილები მოპირკეთებულია საუცხოოდ, რისთვისაც გამოყენებულია ქრომიანი ფოლადი. მანქანების ფასი ცოტა გადიდებულია.

იაპონელ მოქალაქეთა ევაკუაცია ინგლისიდან

ტოკიო, 15 ოქტომბერი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, იაპონიის გემი „ფუსიმი მარუ" გუშინ ლისაბონს ჩავიდა, საიდანაც 45 იაპონელი მოქალაქე წამოიყვანა.

სააგენტოს სიტყვით, ეს უკანასკნელი გემია, რომელიც გაგზავნილ იქნა ინგლისში მყოფ იაპონელ რეზიდენტთა ევაკუაციისათვის. 29 ოქტომბერს „ფუსიმი მარუ" გოლუეიში (ირლანდია) ჩავა, რათა იქიდან წამოიყვანოს ევაკუირებული იაპონელი რეზიდენტები, და შემდეგ 1 ნოემბერს ნიუ-იორკს გაემგზავრება.

აქედან გემი პანამის არხით და ლოს-ანჟელოსით იოკოჰამას წავა.

ამერიკის შეერთებული შტატები და ლათინური ამერიკა

ნიუ-იორკი, 15 ოქტომბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, მიუხედავად უარყოფისა, გრძელდება მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ ამერიკის სამხედრო ბაზები შეიქმნას არგენტინაში, ბრაზილიაში, ურუგვაისა და პარაგვაიში, თუ კი ის მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ბრაზილიამ ამერიკის შეერთებულ შტატებს საზღვაო ბაზა დაუთმო ბელემში და საავიაციო ბაზა—მანაოსში. პარაგვაიმ ბაზა დაუთმო სამოქალაქო ავიაციისათვის. ეს ბაზა განსაკუთრებულ შემთხვევაში სამხედრო თვითმფრინავებისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნას. არგენტინასა და ურუგვაისთან მოლაპარაკება გრძელდება.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, მექსიკის ახალარჩეული პრეზიდენტი ავილა კამაჩო მეტად კეთილგანწყობილად ეპყრობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო თანამშრომლობას. მოელიან, რომ მექსიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაიწყება მოლაპარაკება ურთიერთ თავდაცვის პაქტის დადების შესახებ. იუწყებიან, რომ მექსიკამ ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე უკვე იკისრა ვალდებულება ნაწილობრივი სამხედრო დახმარების შესახებ, თუ იაპონიასთან ომი დაიწყო. დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრებიან მექსიკის თავდაცვის კომისარი და გენერალური შტაბის უფროსი.

დიდი საავიაციო ბაზის აგება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 15 ოქტომბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, საზღვაო სამინისტრო დღეს შეუდგება დიდი საავიაციო ბაზის მიღებას ჯექსონვილში (ფლორიდის შტატი), რომლის აგება ვადაზე 6 თვით ადრე დამთავრდა. მშენებლობა 25 მილიონ დოლარად დაჯდა. ბაზის ექსპლუატაცია დაიწყება 1941 წლის 1 იანვრიდან. ბაზა შუაგზაზეა ნიუფაუნდლენდისა და პანამის არხს შორის. მის ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობი 3.260 კვადრ. მეტრს უდრის, აგებულია 30 შენობა და 4 გზა თვითმფრინავთა ასაფრენად. ჯექსონვილის ბაზაში მფრინავებსა და მექანიკოსებს მოამზადებენ.

ჰელის პასუხი პრესის წარმომადგენლებს

ვაშინგტონი, 15 ოქტომბერი (საკდესი). უპასუხა რა პრესის წარმომადგენლებს იმ ცნობების თაობაზე, რომლებიც შეეხება ბრაზილიისა და ჩილის თანხმობას ამერიკის შეერთებულ შტატებისათვის სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ბაზების იჯარით გადაცემას, ჰელმა განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატები იღებენ ინფორმაციას დასავლეთ ნახევარსფეროს თავდაცვის ყველა ფაზის შესახებო, მაგრამ ეს ცნობები არ უარუყვია.

საფრანგეთის ინდო-ჩინეთში შექმნილი მდგომარეობა

ვიში, 15 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს, საფრანგეთის მთავრობამ მიიღო ტაის წინადადება იმის შესახებ, რომ ამ უკანასკნელ ხანს მომხდარი სასაზღვრო ინციდენტების გამოსაკვლევად შეიქმნას მეორე კომისია. ტაის ტერიტორიული მოთხოვნა უარყოფილია.

ინგლის-იტალიის ომი

ლონდონი, 15 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან გადმოგვცემს ინგლისის სარდლობის კომუნიკეს, რომელიც 14 ოქტომბერს გამოქვეყნდა: „ეგვიპტის ფრონტზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა. 13 ოქტომბერს სუდანში ჩვენი მოტორიზებული პატრული კასალის სამხრეთ-აღმოსავლეთით 20 მილზე შეხვდა მოწინააღმდეგის რაზმს, რომელიც 120 კაცისაგან შესდგებოდა, და დიდი ზარალი მიაყენა მას. მტერმა ყუმბარა დაუშინა ჩვენს მეწინავე პოზიციებს გალაბატის რაიონში. მსხვერპლი და ზარალი არ არის. სხვა ფრონტებზე მნიშვნელოვანი რამ არაფერი მომხდარა".

ინგლისის საჰაერო ძალების სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია: „გურაზე ღამით თავდასხმის დროს 12 და 13 ოქტომბერს ჩვენმა ავიაციამ ძლიერ დაუშინა ყუმბარა აეროდრომს და სერიოზული ზარალი მიაყენა. სამხრეთ აფრიკის ავიაციის თვითმფრინავთა შენაერთებმა ორი წარმატებითი თავდასხმა მოაწყეს იაველოს აეროდრომზე (აბისინია). ცეცხლგამჩენი ყუმბარები და დიდი ფეთქებადი ძალის ყუმბარები დაეცა აეროდრომის ანგარებსა და სხვა ნაგებობებს. მტრის სატყვიამფრქვევო პოსტი იძულებული გახდა ჩაჩუმებულიყო. სამხრეთ-აფრიკის საჰაერო ძალების სხვა თვითმფრინავებმა მრავალრიცხოვანი საზვერავი ფრენა მოაწყეს მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა".

ნიუ-იორკი, 15 ოქტომბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ათენელი კორესპონდენტი ემყარება კუნძულ სამოსიდან მიღებულ ცნობებს და გადმოგვცემს, რომ ინგლისის ავიაცია თავს დაესხა იტალიის წყალქვეშა ნავების ბაზას კუნძულ ლეროსზე. ბომბარდირების შედეგად ბევრგან ძლიერი ხანძარი გაჩნდა, რაც მთელ ღამეს გრძელდებოდა. განადგურებულია დიდძალი სამხედრო მარაგი.

აფრიკის საომარი მოქმედების ასპარეზი

ვიში, 15 ოქტომბერი (საკდესი). საფრანგეთის, აგრეთვე შვეიცარიის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს აფრიკის საომარი მოქმედების ასპარეზს. 13 ოქტომბერს ერთი თვე შესრულდა მას შემდეგ, რაც იტალიამ ეგვიპტეზე შეტევა დაიწყო. ერთი თვის წინათ იტალიის მეორე არმია, რომლის წინაშეც დასახული იყო ამოცანა ევლო სანაპიროს გასწვრივ ალექსანდრიისაკენ, სოლუმში შევიდა. 16 სექტემბერს იტალიელებმა დაიკავეს სიდი-ბარანი, სოლუმიდან 72 კილომეტრზე. მეორე არმია მხოლოდ ნაწილს შეადგენს იტალიის იმ ჯარისას, რომელიც თავმოყრილია ჩრდილოეთ აფრიკაში და ამჟამად გადაყვანილია ეგვიპტის საზღვრებისაკენ. მეორე არმიის სამხრეთით მოქმედებს პირველი არმია, რომელსაც ბაზა ბენგაზში აქვს. ამ არმიას დასახული აქვს ამოცანა იაროს უდაბნოში ოაზისების ხაზზე ზედა-ნილოსის მიმართულებით ვადი-ჰალფისკენ. გარდა ამისა, იტალიის ერთი დივიზია აბისინიიდან ჩრდილოეთისაკენ მიდის ნილოსის პარალელურად. როგორც ეტყობა, მისი მიზანია, დაიკავოს ხარტუმი—ინგლის-ეგვიპტის სუდანის ცენტრი.

ჰფიქრობენ, რომ იტალიის იმ ჯარის საერთო რაოდენობა, რომელიც ეგვიპტის წინააღმდეგ მოქმედებს, 500 ათას კაცს აღწევს. რა ძალების გამოყვანა შეუძლია იტალიის წინააღმდეგ ინგლისს? ცნობილი შვეიცარიელი სამხედრო მიმომხილველი პოლკოვნიკი გროსელინი ამ კითხვაზე შემდეგ პასუხს იძლევა გაზეთ „ჟურნალ დე ჟენევში". აგვისტოში ინგლისს ეგვიპტეში ჰყავდა 110 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი. ეს ჯარი შესდგებოდა ინგლისელებისა, ინდოელებისა, ახალზელანდიელებისა, ავსტრალიელებისაგან და სხვ. მას შემდეგ ეგვიპტეში პალესტინიდან გაიგზავნა 80 ათასი კაცი, ხოლო 30 ათასი კაცი თვით ინგლისიდან და ნაწილობრივ ინდოეთიდან გაიგზავნა. ამრიგად, ინგლისის არმია ეგვიპტეში 220 ათასი კაცისაგან შესდგება; მას აქვს 500 თვითმფრინავი, 1000 ჯავშნიანი მანქანა და ყველა ყალიბის არტილერია.

საფრანგეთისა და შვეიცარიის სამხედრო სპეციალისტები მაინც ჰფიქრობენ, რომ იტალიელთა რიცხობრივი უპირატესობა არ უზრუნველჰყოფს მათ შემდგომ წარმატებას. აფრიკის საომარ მოქმედებაში ინგლისელთა სასარგებლოდ მოქმედებს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი—უდაბნო, რომელსაც უნდა სძლიონ შემტევმა იტალიის არმიებმა. ირგვლივ არაფერია გარდა ქვიშისა, ორმოცი გრადუსი სიცხე დღისით ჩრდილში, დიდი სიცივე ღამით, ამასთან ცეცხლის დანთება შეუძლებელია, რადგან შეიძლება მიიპყრონ ავიაციის ყურადღება,—ასეთია უდაბნოში ომის პირობები. იტალიის არმიის თვითეულ ჯარისკაცს დღელამეში თითო ლიტრი წყალი ეძლევა, რაც ცხადია, საკმარისი არ არის. წყლის მიტანა მეტად ძნელია. ქებით სარგებლობა აკრძალულია, რადგან შიშობენ მოწინააღმდეგის მიერ მოწამლული არ იყოსო.

ალექსანდრიამდე მისაღწევად იტალიელებმა უნდა გადალახონ 240 კილომეტრი ქვიშიანი ლიბია—ეგვიპტის უდაბნო, რომელიც მსოფლიოში ერთერთი ყველაზე გვალვიანი და უნაყოფო უდაბნოა. ნოემბერში აქ დაიწყება წვიმის სეზონი, რასაც შეუძლია კიდევ უფრო გააძნელოს ჯარის წინსვლა.

მერსა-მატრუხზე შეტევის დასაწყებად, სადაც გრაციანის არმია ინგლისის მნიშვნელოვანი ძალების წინააღმდეგობას წააწყდება, უნდა დამთავრდეს ლიბიის საზღვრიდან სიდი-ბარანამდე გზის გაყვანა, რომლითაც შეიძლება სურსათისა და საომარი მასალის მიტანა. იტალიელების მესანგრეები სწორედ ამაზე მუშაობენ 20 სექტემბრიდან.

იტალია-უნგრეთის ეკონომიური მოლაპარაკების დამთავრება

რომი, 15 ოქტომბერი (საკდესი). როგორც სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს, 13 ოქტომბერს დამთავრდა იტალია-უნგრეთის ეკონომიური მოლაპარაკება, რაც ორ კვირას გაგრძელდა. ხელმოწერილია ოქმები, რომლებიც შეეხება შემოსატან და გასატან საქონლის რაოდენობას, აგრეთვე გადასახდელებს.

ავსტრალიაში ამერიკის გემების გაგზავნის გამო

ნიუ-იორკი, 15 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ჟურნალი „არმი ნეივი ჯორნელი" იუწყება, სამხედრო და საზღვაო წრეებში იხილავენ ავსტრალიაში უახლოეს ხანს „კეთილი სურვილის" მისიით ამერიკის ესკადრის გაგზავნის შესაძლებლობას. შესაძლოა ესკადრა სინგაპურშიც შევიდეს. ჟურნალის სიტყვით, ვაშინგტონს მჭიდრო კონტაქტი აქვს ფილიპინებთან. ფილიპინების ხელისუფლებამ ამას წინათ „ევროპის ერთი მთავრობის" აგენტს წინადადება მისცა ფილიპინებიდან წადიო.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა არქიტექტორების შემოქმედებითი შეხვედრა

სსრკ საბჭოთა არქიტექტორების კავშირის გამგეობის სამდივნოს გადაწყვეტილებით დეკემბრის დამდეგს თბილისში მოხდება ამიერკავკასიის რესპუბლიკების — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის არქიტექტორთა შემოქმედებითი შეხვედრა. იგი მიეძღვნება ნაციონალური არქიტექტურის ძირითადი პრობლემების განხილვას.

შეხვედრაზე მოხსენებით გამოვლენ: არქიტექტურის აკადემიკოსი ნ. პ. სევეროვი (საქართველოს სსრ), ს. ა. დადაშევი (აზერბაიჯანის სსრ) და ს. ა. საფარიანი (სომხეთის სსრ). მომხსენებელნი დაწვრილებით გააცნობენ საზოგადოებრიობას ფორმით ნაციონალურ და შინაარსით სოციალისტური არქიტექტურის განვითარებას. ამ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ხარკოვის გამოჩენილი ხუროთმოძღვარნი. კერძოდ, მოსალოდნელია არქიტექტურის აკადემიკოსების კ. ს. ალაბიანის, ბ. მ. იოფანის, ა. ვ. შჩუსევისა და ლ. ვ. რუდნევის ჩამოსვლას.

მომავალი შეხვედრისათვის მომზადებულ უნდა იქნას დიდი გამოფენა, რომელიც ასახავს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა არქიტექტორების წარმატებებს. გამოფენაზე წარმოდგენილ იქნება მრავალი მოდელი, პროექტი, ესკიზი და ფოტოგრაფია.

თბილისის თანამედროვე არქიტექტურისა და სიძველის ძეგლთა გასაცნობად შემოქმედებითი შეხვედრის მონაწილენი ექსკურსიებს მოაწყობენ ქალაქში და მის მიდამოებში. (საკდესი).

ზესტაფონის თეატრი

წლევანდლამდე ზესტაფონს თეატრის შენობა არ ჰქონდა. სახელმწიფო თეატრი, რომელიც შარშან ჩამოყალიბდა, წარმოდგენებს მართავდა რკინიგზელთა მოუწყობელ კლუბში. წელს ზესტაფონის რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა გადასწყვიტეს სათეატრო შენობის აგება. ქალაქის მთავარ ქუჩაზე, სადგურის პირდაპირ, სადაც წინათ დარაბები იყო, ახლა მშვენივრად მოწყობილი სათეატრო შენობაა. ყველა სამუშაო შესრულდა სარეკორდო დროის განმავლობაში — ორ თვეში. თეატრს 400 დანომრილი ადგილი აქვს. საჭიროებისას შეიძლება ტევადობის გადიდება. დარბაზი და ფოიეები კარგად არის მოწყობილი. დასამთავრებელია სცენა და მსახიობთა საპირფარეშოები. ეს სამუშაოც დროზე უნდა შესრულდეს, თორემ ზამთარში მუშაობა შეუძლებელი იქნება.

ახალი სათეატრო შენობა უკვე ექსპლოატაციაშია, ამ დღეებში ზესტაფონის სახელმწიფო თეატრმა ახალ შენობაში გახსნა სეზონი აკაკის „პატარა კახით" (დადგმა დ. კობახიძისა). სპექტაკლი მაყურებელმა კარგად მიიღო.

5 ვაგონი მანდარინი მოსკოვის მშრომელებს

ქობულეთი, (საქდესი). ციხისძირის საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ გაიშალა წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. მეურნეობაში ციტრუსების კრეფისათვის ყველა მოსამზადებელი სამუშაო შესრულდა.

მეურნეობა 15 მილიონ ციტრუსოვან ნაყოფს მისცემს ჩვენს ქვეყანას.

მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ოქტომბრის დღესასწაულისათვის მოჰკრიფოს და მოსკოვის მშრომელებს გაუგზავნოს 5 ვაგონი მანდარინი.

სამი შვილი

მცხეთა, (საქდესი). ნატახტარის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს ნინო როსტიაშვილს სამი ვაჟი ეყოლა. ბავშვები ნორმალურად არიან განვითარებულნი. დედა თავს კარგად გრძნობს. მისთვის ეს მეხუთე მშობიარობაა.

130 წლის მოხუცი

ქედა, (საქდესი). სოფელ წონიარისში ცხოვრობს 130 წლის მოხუცი ახმედ ხუსეინის-ძე ბოლქვაძე. მისი უფროსი შვილი დურსუნი 80 წლისაა, ხოლო უმცროსი დემურალი 67 წლისაა. ახმედი კარგად გამოიყურება. ნორმალური მხედველობა და სმენა აქვს და ოჯახში მუშაობს.

მწერალთა სასახლეში

18 ოქტომბერს, საღამოს 8½ საათზე მწერალთა სასახლეში შესდგება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აქტივის კრება.

მწერლების დასწრება სავალდებულოა.

ლექცია

19 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე, რუსთაველის სახ. თეატრის საკონცერტო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 21) შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია რუსულ ენაზე, თემა: **„საერთაშორისო მდგომარეობა"**.

ბილეთის ფასი 1 მან. ბილეთები იყიდება სალაროში დღის 12 საათიდან საღამოს 6 ს. და 7 საათიდან საღ. 9 საათამდე; ბილეთები იყიდება აგრეთვე ყველა რაიპარტკაბინეტში.

პირველი თოვლი თბილისის რაიონში

თბილისის რაიონი, 16 ოქტომბერი (საქდესი). 15 ოქტომბერს, ღამით, თბილისის რაიონის მარტყოფის, ნორიოს, ახალსოფლის და ცხვარი-ჭამიას სოფლის საბჭოებში მოვიდა პირველი თოვლი. საგრძნობლად აცივდა.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის სახელობის რაიკომის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილებაში სამი დღის ვადაში უნდა გამოცხადდნენ ამხანაგები: არჩილ სოლომონის-ძე ქანთარია, სარქის ისახანის-ძე ისახანოვი, ივანე თედორის-ძე ჭკადუა, სოკრატ გაბრიელის-ძე კაკუა, სურენ სიმონის-ძე შახბაზიანი, ქრისტეფორე თედორის-ძე გალინინი, ისაკი საბას-ძე ენუქიძე, ზინაიდა იოსების-ასული ლუდუშაური, ნიკოლოზ ვასილის-ძე ივანოვი, თედორე დავითის-ძე ხომასურიძე, ვლადიმერ ივანეს-ძე ხუხია, ზაქარია იოსების-ძე პილაშვილი, აბესალომ აპოლონის-ძე კვანტალიანი, ივანე ლუარსაბის-ძე ხატიაშვილი, სარქის ისაკის-ძე ღარიბოვი და ვლადიმერ მალაქიას-ძე ცაცაძე.

საქ. კ. პ. (ბ) გალის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2855051, გაცემული ნიკოლოზ ფუცორას-ძე შონიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 1675039, გაცემული ერმილე სამსონის-ძე კალანდაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1539496, გაცემული იოსებ ივანეს-ძე მატუზოვის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3306945, გაცემული მარიამ ალექსის-ასულ ბურდულის სახელზე, საკანდიდატო ბარათი № 1682652, გაცემული ბარბარე აბრამის-ასულ წიკლაურის სახელზე, საკანდიდატო ბარათი № 1682679, გაცემული ნიკოლოზ გიორგის-ძე შეთეკაურის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „წითელქუდა" (მე-12 აბ.), სანკულტურის ქართული თეატრი — „სინანული", გრიბოედოვის სახელობის — „ლევ გურიჩ სინიჩკინი" (მე-12 აბ.), სომხური დრამა — „ნამუსი" (აბონემენტის გარეშე).

კინოებში: რუსთაველის სახ. — „გრუნია კორნაკოვა", დღისით — „მეგობრები ბანაკიდან", ოქტომბერი — „უმზითვო პატარძალი", დამკვრელი — „ჩაპაევი", დღისით — „ჩაპაევი", კომკავშირელი — „ფედკა", ლუქსემბურგის სახ. — „ჩაპაევი", კომინტერნი — „დიდი ვალსი", 26 კომ. სახ. — „ჩაპაევი", განთიადი — „ცირკი", ვოროშილოვის სახ. კლუბი — „უკანასკნელი მასკარადი", წითელი არმიის სახლი — „ჩემი სიყვარული", ნავთლუღის რკინიგზის კლუბი — „პარტიული ბილეთი", ახალი ამბები — „ფეხბურთელები".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის საქ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
ანონსი
ა. ანდრიაშვილი — პრემიერა
კაკო ყაჩაღი
ოპერა 4 მოქმედებად, ლიბრეტო—გ. ი. იმედაშვილისა
დადგმა რეჟისორ გ. ზ. ჟურულისა. დირიჟორი ო. ა. დიმიტრიადი
მხატვარი—პროფესორი ვ. ვ. სიდამონ-ერისთავი
ცეკვების დამდგმელი დ. ლ. ჯავრიშვილი (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე).
1 წარმოდგენაზე ყველა ბილეთები გაყიდულია.
დაწყებულია მე-2 და მე-3 წარმოდგენის ბილეთების გაყიდვა. 50

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი.

17 ოქტომბერს	18 ოქტომბერს	19 ოქტომბერს
გრაფის ქვრივი	უდანაშაულო დამნაშავენი	ბოგდან ხმელნიცკი

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი.

17 ოქტომბერს	18 ოქტომბერს	19 ოქტომბერს
გიორგი სააკაძე	ბედნიერება	კოლმეურნის ქორწინება

დასაწყისი 8 ს. 30 წ.
20 ოქტომბერს დღის წარმოდგენა **გიორგი სააკაძე**. დასაწყისი დღის 12 ს.

გაიხსნა უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა
მოსამზადებელი კურსები
სწარმოებს მსმენელების მიღება **ახალ ჯგუფებში**
ქართულ და რუსულ სექტორებზე.
აქვე იხსნება ექსტერნატი საშუალო სკოლის სიმწიფის მოწმობაზე.
პირობების გაგება ყოველდღე 7-დან 10 საათამდე.
მისამართი: თბილისი, ლ. ბერიას სახელობის რაიონი, საჩკომსაბჭოს ქ. № 2. 1 სკოლის შენობაში (ბავშვთა უნივერმაღის გვერდით)
8341

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
18 ოქტომბერს ძე-9 აბ. 1 წარმ.
ჩიო-ჩიო-სან
დასაწყისი 8 ს. 30 წ.

არტემ ბოჟგუა და სევერიან მოისწრაფიშვილი იუწყებიან ამხ. გიორგი გოჩაშვილის მამის **ალექსანდრე გოჩაშვილის** გარდაცვალებას.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის სახ. რაიკომის თანამშრომლები გოგისვანიძე, მაისურაძე, ახვლედიანი, მიზრახი, კერესელიძე, ქემოკლიძე, აკოფოვი, კანანოვი, ბერუჩაშვილი იუწყებიან გ. გოჩაშვილის მამის **ალექსანდრე გოჩაშვილის** გარდაცვალებას. 8388

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის სახ. რაიკომის თანამშრომლები გურგენიძე, ქოქრაშვილი, ლაბახუა, ანთიძე, ტუღუში, ხითარიშვილი, სარქისოვი, თვარაძე, ჯიქიძე, რაზმაჩაევი, მთვრალაშვილი იუწყებიან გ. გოჩაშვილის მამის **ალექსანდრე გოჩაშვილის** გარდაცვალებას. 8388

ცოლი ანა, შვილები გიორგი, ივანე, ეთერ, რძლები თამარ, ნინო, შვილიშვილები მზია, ჯანგირ, ლილი გოჩაშვილები იუწყებიან **ალექსანდრე გიორგის-ძე გოჩაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 19/X 7 ს. გამოსვენება 20/X 3 ს. ვერპარნის, 24, (ყოფ. რევაზოვის).

შვილები პაშა, ცუცა, აკაკი, დავით, ნესტორ დგებუაძეები, რძალი კატუშა იუწყებიან **ფედოსი დგებუაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 18/X 6 ს. ჯაფარიძის 8. პანაშვიდი 17/X 7 ს. 8384

მეუღლე ლეონილა, შვილები ილია, მარო, ლიდა, სიძე კოლია, შვილიშვილი ბიჭუნა იუწყებიან, რომ 20/X 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **კონდრატე ბაგრატის-ძე კოკაიას** პანაშვიდი. 8385

მეუღლე ვალიკო, შვილი დოდო, მამამთილი ზაქარია იუწყებიან **რაისა ალექსანდრეს-ასულ ჯღარკავა-ცოტაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19/X 7 ს. გამოსვენება 20/X 2 ს. ბრძოლის, 39. 8380

ქმარი საშა, შვილები ზინიკო და ცაცო იუწყებიან **ოლა სარაულის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. გამოსვენება 20/X 4 ს. შრომის, 10. 8381

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული საშენ მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან აკაკი დგებუაძის დედის **ფედოსი ნესტორის-ასულ დგებუაძის** გარდაცვალებას. 8387

სტალინის სახელობის რაისაბჭოს თანამშრომლები მურადაშვილი, ქელიძე, ბასილაია, ჩიქობავა, ცქლიკაძე, ეფრემიძე, ნოზაძე, სურმავა, ხომერიკი, ფირალიშვილი, პეტროსიანი იუწყებიან გიორგი გოჩაშვილის მამის **ალექსანდრე გოჩაშვილის** გარდაცვალებას. 8382

გემოკვების კავშირის თანამშრომლები გიგინეიშვილი, ივანიშვილი, ჭანტალიეიშვილი, თალაკვაძე, ჯალიაშვილი, ესაიანი, ხმიადაშვილი, ცაგურია, საყვარელიძე, შენგელია, სირაძე იუწყებიან ილია ტაბიძის მეუღლის **ნინოს** გარდაცვალებას. 8383

ბიძაშვილი მაშო ილურიძე შვილით ანტონით, რძლით ანიკოთი იუწყება **ალექსი ჩოხელის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17/X. 8386

ძმები ბესარიონ, შალვა, რძლები ფიმა, გალინა გოგებაშვილები იუწყებიან, რომ 20/X 1 ს. თბილისში ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ინჟინერ **არსენ ლევანის-ძე გოგებაშვილის** პანაშვიდი. 8373

ცოლი ლია, შვილები ლამარა, ნუგზარ იუწყებიან აგრონომ **მურმან დვალიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19/X 6½ ს. გამოსვენება 20/X 4 ს. ბარნოვის, 104 (ვაკე). 8374

მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატის მომარაგება-გასაღების მთავარი სამმართველოს და თბილისის სამკერვალო მზა-ნაწარმის გასაღების ბაზის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **პარმენ დიმიტრის-ძე ჩანტლაძის** გარდაცვალებას. 8375

ბიძა სიმონ, ბიცოლები მაშიკო, კატო, ბიძაშვილები ვალიკო, მიშა, ლუბა, ნატაშა, აკაკი, ჟორა, პავლე, თამარ, ნინო ოჯახებით იუწყებიან **ბარნაბ კაკაურიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 20/X 5 ს. ტექნიკური, 2 8376

ფხალაძე, მაჭავარიანი, საყვარელიძე, მგელაძე, შუშანია, თუშიშვილი, ქიქოძე, გურაბანიძე, ცინცაძე, ბრენერი, ფიცხელაური იუწყებიან მერის და ვანოს მამის **ალექსი ჩოხელის** გარდაცვალებას. 8377

თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებული სანკულტურის თეატრის კოლექტივი იუწყება ექიმ-კონსულტანტის ვ. ჩოხელის მამის **ალექსი საბას-ძე ჩოხელის** გარდაცვალებას. გამოსვენება 17/X ქალ. II საავადმყოფოს პროზექტურიდან. 8378

მშობლები მარო, ვასო, ძმა შალვა, ძალო ნინო, ბიძაშვილები ლუბა, მანია, მამიდა ნინო იუწყებიან **სერიოჟა მარტაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 19/X 5½ ს. ცხემის ჩიხი, 3. 8379

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84, სასოფლო სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 1996